



როგორ დავიცვათ მშენებარე გზის მასშობლად მცხოვრები მოსახლეობის უფლებები და ინტერესები



თბილისი
2011

წინამდებარე გამოცემა მოიცავს რეკომენდაციებს მოქალაქეებისათვის, რომლებიც განიცდიან საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების ზემოქმედებას. რეკომენდაციები მოიცავენ კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელების, საზედამხედველო ინსტიტუციებში მიმართვისა და სამართლებრივი დავის წარმოების შესახებ ინფორმაციას.

გამოცემა სასარგელო იქნება როგორც პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოქალაქეებისათვის, ისე იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან, ადვოკატირებასთან და გარემოს დაცვასთან.


აღნიშნული პუბლიკაციის მომზადების პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს კანონმდებლობა და ეს პროცესი გრძელდება. ამდენად, იმ დროს როდესაც თქვენ მოგეცემათ ამ გამოცემის გაცნობის საშუალება, შესაძლებელია გარკვეული ნორმატიული აქტები შეცვლილი იყოს. წინასწარ გიხდით ბოდიშს ამ გარემოებებისათვის.

მოქალაქეთა სახელმძღვანელოების განახლებული ვარიანტები შეიძლება იხილოთ მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე; www.greenalt.org

გამოცემა მომზადდა „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავენ ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

© მწვანე ალტერნატივა, 2011



როგორ დავიცვათ მშენებარე გზის
მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის
უფლებები და ინტერესები

მოქალაქის გზამკვლევი

როგორ დავიცვათ მშენებარე გზის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის უფლებები და ინტერესები

მოქალაქის გზამკვლევი

საიდან დავიწყეთ?

უფლებებისა და ინტერესების დაცვის ზოგადი სტრატეგია. შესაძლო მიდგომები და მოქმედების მიმართულებები

რას ნიშნავს დიდი გზა სახლის მახლობლად? - ეს ნიშნავს ბევრ ავტომანქანას, ხმაურს, მტვერს, გამონაბოლქვს, გზაზე გადასვლასთან დაკავშირებულ პრობლემებს; ეს ნიშნავს გამომშვიდობებას სიმყუდროვესთან, სიწყნარესთან და სუფთა ჰაერთან; ეს ნიშნავს, რომ მთელი წლის განმავლობაში ფანჯრები გამოკეტილი უნდა გქონდეთ...

ბუნებრივია, რომ პროექტის არეალში მცხოვრები ადამიანები გზის მშენებლობას ცხოვრების ჩვეული წესის შეცვლად აღიქვამენ და მის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება უჩნდებათ.

რა აელვებს მოსახლეობას ყველაზე მეტად და ხშირად:

- როგორ შეიცვლება ჩვეული საბინადრო გარემო: ხედი, ოთახების განათება, ხმაურის დონე, ჰაერის სისუფთავე; გაძლიერდება თუ არა ისეთი ფაქტორები, როგორცაა ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება და ა.შ;
- გაასახლებენ თუ არა და თუ კი, სად და რა პირობებით;
- თუ არ გაასახლებენ, როგორ დავიცვას თავი გამონაბოლქვისგან და ხმაურისგან;
- ხომ არ დაზიანდება ან არ დაინგრევა საცხოვრებელი სახლები გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად;
- შენარჩუნდება თუ არა პარკები, სკვერები და სხვა დასასვენებელი ადგილები, იქნება თუ არა ისინი კვლავ ხელმისაწვდომი და ივარგებს თუ არა დასასვენებლად;
- რამდენად გაუმჯობესდება საცხოვრებელი ადგილის სატრანსპორტო უზრუნველყოფა დაგეგმილი მშენებლობის შედეგად?

სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსახლეობა ცდილობს გაერკვეს, რამდენად შეცვლის გზის მშენებლობა მისი ცხოვრების ჩვეულ წესსა და გარემოს.

სიტუაციის შეფასების შედეგად ადამიანები წყვეტენ, საჭიროა თუ არა თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად ბრძოლა, ხოლო თუ საჭიროა – განსაზღვრავენ ამ ბრძოლის მიზნებსა და გზებს.

რა შეიძლება იყოს ბრძოლის მიზანი

საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების განხორციელებისას მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებების შელახვის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანი შეიძლება იყოს:

1. მაგისტრალის მშენებლობის გაუქმება ან მარშრუტის შეცვლა;
2. პროექტში გზის ისეთი პარამეტრების (ზოლების რაოდენობის, გამტარუნარიანობის და ა.შ.) გათვალისწინება, რომ მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები არ გაუარესდეს მშენებლობის შედეგად;
3. სპეციალური შემარბილებელი ზომების გათვალისწინება და განხორციელება ობიექტზე, მის მიმდებარე ზონაში და შენობებში (მაგ. ხმაურდამცავი ზომები, გამწვანება და სხვა.) როგორც ობიექტის ექსპლუატაციის, ასევე მშენებლობის პერიოდისთვის;
4. მშენებლობის შედეგად დაზარალებული მაცხოვრებლების გადასახლება ინვესტორის ხარჯებით;
5. ნებისმიერი ზიანისა და უხერხულობისთვის კომპენსაციების მიღება.

შესაძლებელია ამ მიზნების (ან ზოგიერთი მათგანის) გაერთიანებაც. თუმცა, პრიორიტეტები შეიძლება შეიცვალოს დროის განმავლობაში:

- ა. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პრობლემის არსის უკეთ ჩაწვდომის შემთხვევაში;
- ბ. ინვესტორებთან და გადაწყვეტილების მიმღებებთან მოლაპარაკების პროცესში;
- გ. პროექტის განხორციელების (მშენებლობის) პროცესში.

რა გზები შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად?

არსებობს საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დაცვის ორი ძირითადი მიმართულება. გამომდინარე იქიდან, თუ რა გზებით ცდილობთ შედეგის მიღწევას, მათ პირობითად „სამართლებრივი“ და „კამპანიის ჩატარების“ გზა შეიძლება ვუწოდოთ.

სამართლებრივი მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ იურიდიულად დაამტკიცოთ (სასამართლო პროცესზე ან მის გარეშე) მოქალაქეთა უფლებების დარღვევის (ან მოსალოდნელი დარღვევის) ფაქტი. თუ ეს შემთხვევით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უფლებების აღდგენა.

სამწუხაროდ, სახელმწიფოსთან ურთიერთობაში მოქალაქეები ყოველთვის ვერ ახერხებენ თავისი უფლებების დაცვას. მოქალაქეთა ინტერესი ხშირად ეწირება სხვადასხვა ჯგუფების ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან სხვა ინტერესებს, რომლებიც სახელმწიფო ინტერესებად ცხადდება. ასეთ სიტუაციაში, ამ ინტერესებიდან გამომდინარე, ხდება კანონის ინტერპრეტირება და გამოყენება (ან არ გამოყენება), ხანდახან კი ახლის დაწერაც კი.

ამ პირობებში სასურველია, რომ სამართლებრივი ინსტრუმენტებს (სარჩელი, საჩივარი) „მიაშველოთ“ კამპანიის წარმოების მეთოდებიც (აქციები, მიმართვები, საინფორმაციო კამპანიები, მიტინგები და ა.შ). თუ შემთხვევით, რომ პრობლემა საჯარო მსჯელობის საგანი გახადოთ, მიიზიდოთ ყურადღება და აჩვენოთ ხელისუფლებას, რომ მისი მიჩქმალვა არ მოხერხდება, შეგიძლიათ მიაღწიოთ თქვენი უფლებების რეალიზებას.

ამავდროულად, ძნელია მხოლოდ კამპანიის წარმოების საშუალებით გზით მიაღწიოთ ხელშესახებ შედეგს, თუ ამავდროულად არ თქვენი კამპანია არ დაეფუძნება სამართლებრივ ინსტრუმენტებს, კანონებს, საბუთებს. კამპანიური ხასიათის მოქმედებებს ხშირად მიეყვართ იქით, რომ ვიღებთ პოლიტიკური ხასიათის დაპირებებს. თუ ამ დაპირებებმა არ მიიღო დოკუმენტის სახე, შეიძლება ადვილად მიეცენ დავიწყებას. ამდენად, საუკეთესო გზა სამართლებრივი და კამპანიური მიდგომის ერთობლივად გამოყენებაა.

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ორ ზემოთხსენებულ გზას შორის. სამართლებრივი მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ აქცენტი ცალკეული დაზარალებული მოქალაქეებისა და მცირე ჯგუფების კონკრეტული პრობლემების გადაჭრაზე. კამპანია უფრო მიმართულია მდგომარეობის შეცვლაზე მთლიანობაში, იმაზე, რომ მივიზიდოთ ფართო საზოგადოების ყურადღება, განვაზოგადოთ პრობლემა და ვაჩვენოთ მისი ტიპიურობა.

სამართლებრივი მიდგომა

უფლებების დაცვის სამართლებრივი გზის საფუძველი არის ქვეყნის კონსტიტუცია და კანონმდებლობა. სახელმწიფო იცავს თავის კანონებს და შესაბამისად, წარმოადგენს მათ მიერ განსაზღვრული უფლებების გარანტს. აქედან გამომდინარე, თუ მაკონტროლებელი და საზედამხედველო ორგანოები ან სასამართლო ადასტურებენ მოქალაქის რომელიმე უფლების დარღვევას, სახელმწიფო ვალდებულია აღადგინოს ეს უფლება. ანუ, სახელმწიფომ უნდა დაიჭიროს დაზარალებულის მხარე, ხოლო ასეთი მხარდაჭერის შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია დაამარცხოს საკმაოდ მძლავრი კორპორაციაც კი.

იმისთვის, რომ სახელმწიფოს მხრიდან თქვენი უფლებების დაცვის მხარდაჭერას მიაღწიოთ, ნათლად უნდა ჩამოაყალიბოთ, თუ რომელი უფლებები დაირღვა. ეს შეიძლება მარტივი არ აღმოჩნდეს, რადგან პროექტის მიმართ არსებული პრეტენზიები ყოველთვის პირველივე შეხედვით არ ასოცირდება უფლებების დარღვევასთან.

ყველაზე რთულია, დაამტკიცოთ უფლებების შესაძლო ან უკვე მომხდარი დარღვევა და დამაჯერებლად მიუთითოთ, თუ ვისი მოქმედების შედეგად ხდება ის. სხვანაირად, უფლების დარღვევის აშკარა, საყოველთაოდ აღიარებული ფაქტიც კი არ ნიშნავს, რომ თქვენ შეძლებთ ამ უფლების აღდგენას. მაგალითად, თუ სახლის სარდაფში წყალი დგება, დამტკიცება სჭირდება, რომ ეს დაკავშირებულია მიმდებარე ტერიტორიაზე გზის მშენებლობასთან. თუ სახლის მობინადრეებმა ეს ვერ შეძლეს, საკუთარი ძალებით მოუწევთ მდგომარეობის გამოსწორება. დამტკიცებას სჭირდება ფაქტების შეგროვება და დალაგება, ინფორმაციის ანალიზი, ექსპერტიზების ჩატარება და აქტების შედგენა. ყველაფერი უნდა იყოს მაქსიმალურად

დოკუმენტირებული. ზემოხსენებული ინფორმაცია დაგჭირდებათ როგორც თქვენი უფლებების სამართლებრივი დაცვის პროცესში, ასევე კამპანიის ჩატარებისას.

დარღვეული უფლებების აღსადგენად შეიძლება გამოიყენოთ როგორც სასამართლო, ასევე სხვა მექანიზმები - საჩივრით ან განცხადებით მიმართვა. საჩივრით ან განცხადებით მიმართვის და მათი განხილვის პროცედურას განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

სასამართლო შეიძლება გაცილებით უფრო ეფექტური გზა იყოს, მაგრამ ეს უფრო ხანგრძლივი და რთული პროცესია (და, როგორც წესი, ძვირადღირებული), რომელიც მოითხოვს საქმის დეტალურ განხილვას. ყველა შემთხვევაში, სასამართლოში საქმის წარმოებისთვის ჯობია მიმართოთ ადვოკატს.

სამწუხაროდ, სასამართლოს ან ხელისუფლების ორგანოს მიერ თქვენს სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის თქვენი უფლებების აღდგენის გარანტია. ამისთვის აუცილებელია დამრღვევმა მიიღოს ზომები დარღვევის გამოსასწორებლად. ანუ, თქვენ გადაწყვეტილების შესრულებისათვის უნდა იბრძოლოთ. ამისთვის არსებობს აღმასრულებლის ინსტიტუტი. აღმასრულებლის უფლებამოსილებები და აღსრულების პროცედურები კანონმდებლობით დადგენილი სხვადასხვა შემთხვევებისთვის განსაზღვრულია საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ (16.04.1999 წ.).

კამპანიის წარმოება

როგორც ზემოთ ვახსენეთ, კამპანიის წარმოება გულისხმობს, რომ თქვენ ცდილობთ მოახდინოთ გავლენა გადაწყვეტილების მიმღებთა პოზიციასზე არა სასამართლო გზით, არამედ საზოგადოების თვალში პრობლემის გამძაფრებით და მასზე ყურადღების გამახვილებით. ამგვარად, პრობლემა გარკვეულწილად „პოლიტიკურ“ ხასიათს იღებს და მისი იგნორირება გაუჭირდებათ როგორც ხელისუფლების ორგანოებს, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებს. ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვანია ყველამ შეიტყოს და ალაპარაკდეს თქვენი პრობლემის შესახებ.

კამპანიის შესაძლო მეთოდებია:

- ღია წერილები ან მიმართვები (ინდივიდუალური, კოლექტიური ან ხელმოწერების შეგროვებით);
- მონაწილეობა საჯარო ღონისძიებებში;
- საჯარო განხილვები ან მოსმენები (მათ შორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან პარლამენტში);
- საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება მას-მედიის საშუალებით;
- თეატრალიზებული აქციები;
- მშვიდობიანი აქციები (მაგ. მიტინგები, პიკეტირება, სამშენებლო ტექნიკის ბლოკირება, მაგისტრალის გადაკეცვა);
- პოლიტიკური პარტიების ინფორმირება

შეიძლება გამოვყოთ კამპანიის ოთხი ძირითადი კომპონენტი:

1. საჯარო ქმედებების (საპროტესტო აქციები, თეატრალიზებული წარმოდგენები და სხვ.) ჩატარება;
2. მას-მედიის ყურადღების გამახვილება პრობლემაზე;
3. ფაქტების, საექსპერტო და დოკუმენტური ინფორმაციის შეგროვება;
4. მხარდამჭერთა ძებნა და მოზიდვა.

საჯარო აქციები ნებისმიერი კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია. სწორედ აქტიური ქმედებები ხვდება გაზეთების, ტელევიზიის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ყურადღების ცენტრში. მაგრამ ერთჯერადი ქმედება, როგორც წესი, არაა საკმარისი იმისთვის, რომ პრობლემა გახდეს აქტუალური, საყოველთაოდ აღიარებული და მნიშვნელოვანი. როგორც წესი, საჭიროა აქციების სერიის დაგეგმვა და ორგანიზება, ანუ რამდენიმე ღონისძიებისგან შემდგარი საზოგადოებრივი კამპანიის ჩატარება. კარგია, თუ შეძლებთ მოძებნოთ მსგავსი პრობლემის წინაშე მდგომი სხვა ადამიანები და მოილაპარაკოთ ერთობლივი მოქმედების შესახებ.

ეფექტური კამპანიისთვის აუცილებელია მკვეთრად, ამომწურავად და მოკლედ მოახდინოთ პრობლემის ფორმულირება ერთი ფრაზით, რომელიც ყველასთვის გასაგები იქნება. ეს ფრაზა - ეგრეთწოდებული

„მესიჯი“ - უნდა გახდეს კამპანიის სავიზიტო ბარათი, გაჟღერდეს ყველა აქციასა და გამოვლალაზე და მას-მედიასთან ურთიერთობაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღების მოპყრობა თქვენი უფლებების დასაცავად წარმატებული ბრძოლის აუცილებელი წინაპირობაა, რადგანაც ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა მიაწვდინოთ ხმა ხელისუფლებას, განაცხადოთ თქვენი პოზიციის შესახებ და იპოვოთ მხარდამჭერები.

ჟურნალისტებთან აუცილებელი კონტაქტების დამყარების გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფაქტების, საექსპერტო და დოკუმენტური ინფორმაციის შეგროვება. ეს საჭიროა როგორც ჟურნალისტებისთვის თქვენი პრობლემის დეტალების მისაწოდებლად, ასევე იმისთვის, რომ თვითონ სრულად ფლობდეთ ამ დეტალებს, შეძლოთ პასუხი გასცეთ მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს და დაიცვათ თქვენი პოზიცია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც აქციების შედეგად თქვენი პრობლემა უკვე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და დაიწყო მისი საჯაროდ განხილვის პროცესი.

მხარდამჭერთა მოძებნა და მოზიდვა - არა მარტო პრობლემის ირგვლივ საზოგადოებრივი რეზონანსის შექმნის უმნიშვნელოვანესი პირობაა, არამედ თქვენი პოზიციის დამყარების აუცილებელი ფაქტორიც. თუმცა გახსოვდეთ, რომ საერთო ყურადღების მოპყრობა მხოლოდ ნახევარი საქმეა, პრობლემის მოგვარებისათვის უნდა მიაღწიოთ, თქვენი ინტერესის გათვალისწინებას.

რომელი უფლებები შეიძლება დაირღვეს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის გამო?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალი გზა არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ერთი წერტილიდან მეორეში გადაადგილების გამარტივებას - მისი გაყვანა აუცილებლად დაკავშირებულია გარემოზე მავნე ზემოქმედების გაზრდასთან და სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებთან. გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის შედეგად ხშირად ირღვევა მოსახლეობის უფლებები. ამასთან, ამ მშენებლობის სხვადასხვა ფაქტორები შეიძლება იწვევდეს სხვადასხვა უფლებების დარღვევას. მაგალითად:

შედგენი	დარღვეული უფლება
გზის განთავისების ზოლში ¹ მოხვედრილი შენობა-ნაგებობების დანგრევა	საკუთრების უფლება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 170); ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37; საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხლი 6)
შენობები ხდება საცხოვრებლად უვარგისი	
შენობების ნგრევა ტერიტორიაზე წყლის ჩადგომის და/ან ვიზრაციის დონის ამაღლების გამო. საცხოვრებელი პირობების გაუარესება წყლის ჩადგომის, შენობის დაზიანების და ა.შ. გამო.	
ჰაერის დაბინძურება გამონაბოლქვითა და მტვრით	ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37; საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხლი 6)
გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ხმაურისა და ვიზრაციის დასაშვები დონის გადაჭარბება	
მწვანე ნარგავების განადგურება ან მათი მდგომარეობის გაუარესება ისე, რომ ისინი რეკრეაციისთვის გამოუსადეგარი ხდება	
და სხვა.	

ნებისმიერი უფლების დარღვევა და შესაბამისად, მიყენებული ზიანი გულისხმობს ვალდებულების წარმოშობას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 316, 317), ზიანის ანაზღაურებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 408, 409) მიუღებელი შემოსავლის

¹ მიწის ზოლი, რომელზედაც განთავსებულია საავტომობილო გზის საინჟინრო და დამცავ ნაგებობათა მთელი კომპლექსი და გამწვანება („საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქცია“, მუხლი 2)

ანაზღაურების ჩათვლით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 411) .

აღსანიშნავია, რომ თავისთავად მავნე ზემოქმედების არსებობა არ ითვლება უფლებების დარღვევად. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გადააჭარბებს დასაშვებ ნორმებს (ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, ზღვრულად დასაშვები დონე და ა.შ.), ან თუ თქვენ შეძლებთ დაამტკიცოთ, რომ ამ ზემოქმედებამ ზიანი მიაყენა თქვენს ჯანმრთელობას ან საკუთრებას (ან სხვანაირად დაარღვია თქვენი უფლებები), მაშინ მოხდება თქვენი უფლებების დარღვევის აღიარება და თქვენ შეძლებთ მოითხოვოთ კომპენსაცია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები შეიძლება არღვევდეს საქართველოს სხვა კანონების დებულებებსაც, როგორცაა, მაგალითად, კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (ჰაერის დაბინძურება მტკრით და გამონაბოლქვით, ხმაური, ვიბრაცია), ტყის კოდექსი (ტყის გაჩეხვა), კანონი “ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (მწვანე ნარგავების განადგურება), და ა.შ. ეს ყველაფერი კი ისევ და ისევ მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე, საცხოვრებელ გარემოზე და ქონებრივ უფლებებზე აისახება.

როდესაც ჩვენს უფლებების დაცვაზეა საუბარი, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენოთ „კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ანუ ორჰუსის კონვენცია. ამ საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართველო მიუერთდა 2000 წელს.

გზების ტიპები

თავისი დანიშნულებით საავტომობილო გზები იყოფა საერთო სარგებლობის და საუწყებო გზებად.

საქართველოს კანონის „საავტომობილო გზების შესახებ“ (11.11.1994 წ.) და საქართველოს მთავრობის N 57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (24.03.2009 წ.) თანახმად, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები მნიშვნელობის მიხედვით იყოფა სამ კატეგორიად: საერთაშორისო (I კატეგორია), შიდასახელმწიფოებრივი (II კატეგორია) და ადგილობრივი მნიშვნელობის (III კატეგორია) გზებად.

ამის გარდა, საქართველოს მთავრობის N 57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (24.03.2009) შენობა-ნაგებობები (მათ შორის ხაზობრივი ნაგებობები, რომელთა ერთ-ერთი ნაირსახეობა არის საავტომობილო გზა,) იყოფა 5 კლასად:

- ა) I კლასი – შენობა-ნაგებობები, რომლებიც მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს;
- ბ) II კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის დაბალი ფაქტორით;
- გ) III კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის საშუალო ფაქტორით;
- დ) IV კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მაღალი ფაქტორით;
- ე) V კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მომატებული ფაქტორით (განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობები).

შენობა-ნაგებობის კლასი განისაზღვრება ასაშენებელი ან სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის პარამეტრების მიხედვით. საავტომობილო გზებისთვის ეს განაწილება კლასების შიგნით, შესაბამისი სამშენებლო ნორმებით, შემდეგნაირად გამოიყურება.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა მიეკუთვნება III კლასის შენობა-ნაგებობებს.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა მიეკუთვნება IV კლასის შენობა-ნაგებობებს.

საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა მიეკუთვნება V კლასის შენობა-ნაგებობებს.

ამ კლასებისთვის დადგენილი სამშენებლო და სანებართვო ნორმები განსხვავდება ერთმანეთისგან. განსხვავებების უმრავლესობა მცირეა, ეხება ძირითადად სამშენებლო დოკუმენტის პროექტს და ტექნიკურ ხასიათს ატარებს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ IV და V კლასის ნაგებობებისთვის მშენებლობის ნებართვის გასაცემად III კლასის ნაგებობებისგან განსხვავებით, სხვა საბუთების გარდა, სავალდებულოა საექსპერტო დასკვნის არსებობა².

სამშენებლო საქმიანობაში საექსპერტო შეფასება წარმოადგენს კანონმდებლობასთან და ტექნიკურ ნორმებთან შესაბამისობის დადასტურებას. მისი მიზანია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების და ეტაპების შეფასება უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს უზრუნველყოფისთვის.

საექსპერტო შეფასების სფეროს განეკუთვნება:

- მშენებლობის დოკუმენტების პროექტების საექსპერტო შეფასება;
- მშენებლობის განხორციელების ეტაპების საექსპერტო შეფასება;
- არსებული შენობა-ნაგებობების ან/და მათი ნაწილების საექსპერტო შეფასება³.

² საქართველოს მთავრობის N57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (24.03.2009 წ.)

³ საქართველოს მთავრობის N57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (24.03.2009 წ.)

გზების დაგეგმვა, დაპროექტება და მშენებლობა

გზის მშენებლობა, როგორც ნებისმიერი პროექტი, იდეიდან რეალიზაციამდე რამდენიმე ეტაპს გადის:

- სივრცითი დაგეგმვა - განსაზღვრა რუკაზე, თუ სად უნდა გაიაროს გზამ;
- დაპროექტება - გზის დოკუმენტაციის მომზადება (სექემები, ნახაზები, გათვლები და ყველა სახის დასაბუთება - დაწყებული ეკონომიკურიდან, დამთავრებული ეკოლოგიურით);
- მშენებლობა - გზის უშუალო აშენების პროცესი, ხიდების, გვირაბების და ა.შ. ჩათვლით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ეტაპს ჰყავს სამუშაოზე პასუხისმგებელი პირი და ორგანიზაცია. ეს არიან ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ დაგეგმვას, დამკვეთები, ინვესტორები, დონორები, პროექტის ავტორები, საზედამხედველო ორგანოები და მშენებლები.

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები როგორც წესი, იგეგმება დაპროექტებამდე და მშენებლობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. მათი დაპროექტება, მშენებლობა, საექსპლუატაციოდ მიღება, მოდერნიზება, რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა და მოვლა-შენახვა ევალება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს⁴.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაყვანის, განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხების გადაწყვეტა ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაა⁵.

დღეისთვის ყველა მსხვილი გზა საქართველოში სახელმწიფოა და მათი დამკვეთი ხელისუფლების ორგანოებია. მშენებლობა ფინანსდება ძირითადად სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან (ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ

⁴ საქართველოს კანონი “საავტომობილო გზების შესახებ“ (11.11.1994 წ.)

⁵ საქართველოს კანონი “საავტომობილო გზების შესახებ“ (11.11.1994 წ.)

ინვესტორიც სახელმწიფოა), ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ან კერძო კომპანიების მიერ. მაგალითად, ვაზიანი-გომბორითელავის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობის ზოგიერთი მონაკვეთის დონორი მსოფლიო ბანკის ჯგუფია. თუმცა, დონორების გრანტებისა და კრედიტების მიმღებადაც სახელმწიფო გვევლინება ხოლმე.

თუ ინვესტორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტია, როგორცაა, მაგალითად, მსოფლიო ბანკი ან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ისინი, თავიანთი რეგულაციების (policy) შესაბამისად, საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას პროექტის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მდგრადობაზე. ამ საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ გარკვეული გავლენის მოხდენის შესაძლებლობა კომპანიებზე და სახელმწიფო სტრუქტურებზე და მათთვის მიმართვა შეიძლება დაგეხმაროთ საგზაო პროექტებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. მათ ასევე შემუშავებული აქვთ საჩივრის შეტანის და განხილვის მექანიზმები და ნებისმიერ პირს, რომელიც ცხოვრობს პროექტის განხორციელების არეალში და რომლის ინტერესები შეილახა მისი რეალიზაციის შედეგად, შეუძლია საჩივრის შეტანა ინვესტორ ორგანიზაციაში⁶.

სად მოვიძიოთ ინფორმაცია დაფინანსების შესახებ?

სამწუხაროდ, არ არსებობს ერთი კონკრეტული წყარო, საიდანაც შეძლებთ მოიძიოთ ინფორმაცია საგზაო მშენებლობის ყველა პროექტის დაფინანსებაზე.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე⁷ ხელმისაწვდომია ინფორმაცია ძირითადად იმ პროექტების შესახებ, რომლებიც ფინანსდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ.

⁶ ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხილეთ “მწვანე ალტერნატივას” პუბლიკაციაში „როგორ ვიმოქმედოთ თუ პროექტი გვაზარალებს: საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისთვის საჩივრით მიმართვის შესაძლებლობები და პროცედურები“ www.greenalt.org

⁷ <http://www.georoad.ge/>

რაც შეეხება ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებს, მათ შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად შეიძლება მოგიწიოთ წერილობით მიმართოთ შესაბამის ორგანოს - რაიონის მუნიციპალიტეტს ან რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

ნებისმიერ შემთხვევაში მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ დროული და სრული ინფორმაციის მოპოვება შეიძლება გარკვეულ სირთულეებთან აღმოჩნდეს დაკავშირებული. თუმცა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე ალტერნატივას გამოცდილებიდან გამომდინარე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოს საჯარო უწყებებს შორის საჯარო ინფორმაციის გაცემის ხარისხისა და ოპერატიულობის თვალსაზრისით.

შესაძლებელია თუ არა გზის გადატანა?

საგზაო პროექტის რადიკალური ცვლილებები

ხშირად საგზაო პროექტი და მასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ცვლილებები იმდენად მასშტაბურია, რომ იწვევს რადიკალური გადაწყვეტილებების მოთხოვნის სურვილს, როგორცაა პროექტზე საერთოდ უარის თქმა, მისი რეალიზაცია სხვა ადგილას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, პროექტის შემცირება.

მშენებლობის შეჩერება

თუ ითხოვთ მშენებლობის შეჩერებას ან პროექტზე უარის თქმას, უნდა გესმოდეთ, რომ ეს ძალიან რთული ამოცანაა, რომელსაც თავისი სპეციფიკა აქვს.

პირველი: ასეთი მიზანი გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, კამპანიური მიდგომის გამოყენებას. საქმე ისაა, რომ საგზაო მშენებლობა ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც საშუალებას იძლევა კანონიერ საფუძველზე მოხდეს თითქმის ნებისმიერი წინააღმდეგობის გადალახვა - საკუთრების ექსპროპრიაცია⁸, სახლებისა და გარაჟების დანგრევა, ტყეების გაჩეხვა,

⁸ საქართველოს კანონი “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ (23.07.1999წ.), მუხლი 2.

დაცული ტერიტორიების საზღვრების შეცვლა და ა.შ. ამგვარად, ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელია მიაღწიო შედეგს სამართლებრივი მიდგომის გზით.

მეორე: სამართლებრივი მიდგომისთვის საჭირო მტკიცებულებები მიმართული უნდა იყოს პროექტის არაეფექტურობის, არასაჭიროების, უსარგებლობის და ზიანის მომტანობის დასაბუთებაზე კი. ამისთვის კი საჭიროა ფლობდეთ ძალიან დეტალურ ინფორმაციას პროექტის შესახებ და გკონდეთ შესაძლებლობა ჩაატაროთ მისი სერიოზული ექსპერტიზა. მხოლოდ ამის შედეგად შეგიძლიათ მიიღოთ თქვენთვის საჭირო მონაცემები.

მესამე: უნდა გესმოდეთ, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც პროექტის განხორციელებაზე უარს მხოლოდ მაშინ იტყვიან, თუ ეს თავად მათთვის გახდება არამომგებიანი, უინტერესო და რისკიანი.

და მაინც, თქვენი მოქმედება და ბრძოლა ასეთი მოთხოვნის შესრულებისათვის სრულიად კანონიერი და გამართლებულია. იმის გარდა, რომ საქართველოს კონსტიტუცია და კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ უზრუნველყოფენ თქვენს უფლებას იცხოვროთ ჯანსაღ გარემოში, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოქალაქეს აქვს უფლება „სასამართლო წესით მოითხოვოს ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა“ (მუხლი 6). თქვენი უფლებების დაცვისათვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ორჰუსის კონვენცია.

ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა დიდი ორგანიზაციული, საინფორმაციო და ადამიანური რესურსის მობილიზება.

გზის მარშრუტის ცვლილება

საავტომობილო გზის მარშრუტის შეცვლა არანაკლებ რთულია, ვიდრე მისი მშენებლობის გაუქმების მიღწევა. ამ სიტუაციაში თქვენი მდგომარეობა ფაქტიურად იგივეა, მაგრამ შეიძლება რამდენიმე შენიშვნის დამატება.

პირველი: კანონის თანახმად, ნებისმიერი მსხვილი საგზაო პროექტი უნდა ითვალისწინებდეს რეალიზაციის მინიმუმ ერთ ალტერნატიულ ვარიანტს, რომელიც აღწერილი უნდა იყოს საპროექტო დოკუმენტაციაში⁹. ასე რომ ერთი ვარიანტის გაკრიტიკების, მაგრამ სამაგიეროდ, მეორე ვარიანტის დამტკიცების მოთხოვნის შემთხვევაში, წარმატების მიღწევის შანსი მეტია¹⁰.

მეორე: პროექტის შეცვლა ყოველთვის უფრო ადვილია შემუშავების საწყის სტადიაზე. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ადრე განაცხადებთ გზის ტრექტორიის (მარშრუტის) შეცვლის აუცილებლობის შესახებ, მით მეტია ამის რეალურად განხორციელების ალბათობა. სამწუხაროდ, საქართველოში საკმაოდ ძნელია საჭირო ინფორმაციის წინასწარ მიღება, შესაბამისად რთულია თავისი წინადადებების დროულად ფორმულირება.

გზის დავიწროება

პროექტში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებენ მავნე ფაქტორების ზემოქმედებას, ასევე რთული საქმეა, ვინაიდან ეს ფაქტიურად ნიშნავს მის მთლიან შეცვლას. გზის დავიწროება ცალკეულ უბნებზე უაზრობაა, ხოლო მთლიანად დავიწროება - უკვე ახალი პროექტია. ამრიგად, ვუბრუნდებით ზემოთ უკვე განხილულ შემთხვევებს.

საბოლოო დასკვნა შემდეგია: საგზაო პროექტის რეალური რადიკალური ცვლილებების იმედი შეიძლება გქონდეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეგიძლიათ და მზად ხართ მოიხიდოთ სერიოზული ორგანიზაციული, საექსპერტო და პოლიტიკური რესურსები.

⁹ დებულება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“, მუხლი 5. (დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის N8 ბრძანებით, 09.03.2009წ).

¹⁰ ეს მიდგომა შეიძლება ვერ გამოიყენოთ, თუ პროექტი გათავისუფლებულია გზმ-სგან „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11-ე მუხლის ან „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1 მუხლის თანახმად.

ვაზიანი-გომბორი-თელავი გზის პროექტი

პროექტის მიზანი იყო თბილისისა კახეთის დამაკავშირებელი ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის მოწესრიგება და სრულყოფა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პროექტის განსახორციელებლად მთავრობამ განსაზღვრა იყო მსოფლიო ბანკისგან 60 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის აღება.

2009 წლის 8 ივლისს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გამოაცხადა ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის 27 კილომეტრიანი მონაკვეთის (პირველი ნახევრის) რეაბილიტაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ. ამ პროექტის თანახმად, საავტომობილო გზა იწყებოდა ვაზიანის დასახლებასთან და სოფლების უჯარმას, პალდოს, ოთარაანთ კარის, სასადილოს, გომბორის, კობაძის და თეთრწყლების გავლით მთავრდებოდა ქ. თელავში. ის 45-ე კილომეტრზე კვეთდა გომბორის უღელტეხილს 1620 მ სიმაღლეზე, გზის საერთო სიგრძე 66 კმ-ს შეადგენდა. საავტომობილო გზის დერეფნის სიგანედ აღებული იყო 20 მეტრი ხოლო მიწის ვაკისის სიგანედ 10.5 მეტრი. პროექტით გათვალისწინებული იყო ოთხი ახალი ხიდის მშენებლობა, საერთო სიგრძით 348 მეტრი. პროექტი მიკუთვნებული იყო მსოფლიო ბანკის A კატეგორიას (დიდი ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე).

მწვანე ალტერნატივას მიერ ჩატარებული მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ პროექტის მომზადება სერიოზული პროცედურული (იგულისხმება მსოფლიო ბანკის A კატეგორიის პროექტისთვის დაწესებული პროცედურები), დარღვევებით მიმდინარეობდა. არ იყო დასაბუთებული პროექტის წარმოდგენილი სახით განხორციელების საჭიროება (გზის გაფართოება, ოთხი ახალი ხიდის მშენებლობა, ბეტონის ტექნოლოგიის გამოყენება).

პროექტის შესახებ ძალზე მწირი წარმოდგენა ჰქონდათ პროექტის უშუალო გავლენის ქვეშ მყოფი სოფლების მაცხოვრებლებს. მათ მხოლოდ **მწვანე ალტერნატივას** წარმომადგენლებისგან შეიტყვეს, რომ შეეძლოთ პროექტის თაობაზე შენიშვნების წარდგენა. ინფორმაციის სიმცირის მიუხედავად, მათ გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიეღოთ საჯარო განხილვაში, ხოლო მოსახლეობის ნაწილმა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ

გავლენის მოხდენას, საკუთარი მოსაზრებები და დამოკიდებულება პროექტის შესახებ წერილობით დააფიქსირა და მიაწოდა საგზაო დეპარტამენტს.

მწვანე ალტერნატივამ საკუთარი შენიშვნები წარადგინა საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და მსოფლიო ბანკში. ჩვენი რეკომენდაციების თანახმად, პროექტი მისაღები იქნებოდა, თუ სოფელში გამავალ მონაკვეთებზე არ მოხდებოდა გზის სავალი ნაწილის გაფართოება. ამ გადაწყვეტას გააჩნდა შემდეგი დადებითი მხარეები: აცილებული იქნებოდა სოფლების მცხოვრებთა არანებაყოფლობით განსახლება; შემცირდებოდა კომპენსაციების საჭიროება და შესაბამისად, ოდენობა, ასევე შემცირდებოდა ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მასშტაბი და ეკოკომპენსაციების მოცულობა. საერთო ჯამში, მოიკლებდა პროექტის ღირებულება და სოფლებისათვის გაიზრდებოდა გზის უსაფრთხოებაც. მსოფლიო ბანკმა გაიზიარა მწვანე ალტერნატივას კომენტარები და ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია. შედეგად, ბანკმა უარი თქვა ამ სახით წარმოდგენილი პროექტის დაფინანსებაზე, ისე, რომ საქმე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდეც არ მივიდა და საგზაო დეპარტამენტმა უკან გამოითხოვა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურიდან პროექტის დოკუმენტაცია. საგზაო დეპარტამენტმა მოამზადა პრაქტიკულად ახალი პროექტი, რომლის თანახმად, მოხდებოდა არსებული გზის რეაბილიტაცია გაფართოების გარეშე, ასფალტის ტექნოლოგიის გამოყენებით. მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებით, პროექტისათვის გამოყოფილი კრედიტის ოდენობა დაახლოებით 2-ჯერ შემცირდა და შეადგინა 30 მილიონი აშშ დოლარი. ამ თანხაში მოიაზრებოდა არსებული თბილისი – გურჯაანი თელავის გზის გაუმჯობესებაც. გარკვეულწილად გაუმჯობესდა საჯარო განხილვების ხარისხიც.

ამრიგად, პროექტის საწყის ეტაპზევე გამოვლენილი შეუსაბამობების დროულად გახმოვანებამ, მიზანმიმართულმა ლობირებამ და მოსახლეობის აქტიურობამ (ამ შემთხვევაში სულ 28 მოქალაქის ხელმოწერა გახდა საკმარისი შედეგის მისაღწევად) მოიტანა ხელშესახები დადებითი შედეგები პროექტის გაუმჯობესებისა და ხარჯვის ეფექტურობის ამაღლების კუთხით.

რა კომპენსაციაა გათვალისწინებული გზის ნეგატიური ზემოქმედებისთვის?

სიტუაცია, როდესაც მოქალაქეები საჭიროებენ კომპენსაციას საგზაო მშენებლობის და უშუალოდ გზის ნეგატიური ზემოქმედებისთვის.

კომპენსაციის სახეები

საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტებმა შესაძლოა დააზარალოს მოქალაქე. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს რამდენიმე სახის კომპენსაციას, რომელიც შეიძლება გაიცეს ასეთ შემთვევებში:

- სახელმწიფოებრივი ან მუნიციპალური საჭიროებისთვის ამოღებული (ექსპროპრიაცია) უძრავი ქონების კომპენსაცია¹¹;
- ზიანის ანაზღაურება, ფინანსური ან არაფინანსური სახით, მათ შორის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება¹²;
- სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება¹³;
- მორალური ზიანის ანაზღაურება¹⁴.

ძირითადი კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეთა უფლებას მიიღონ კომპენსაცია.

როგორც ვხედავთ, ძირითადი კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს კომპენსაციების გადახდის ვალდებულებას და მათი მიღების უფლებას, არის საქართველოს კანონი “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ (23.07.1999 წ.) და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (26.06.1997 წ.).

ამის გარდა, გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ითვალისწინებს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ზიანისთვის კომპენსაციას მიიღებს ფიზიკური პირი - თანხა შედის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი

¹¹ საქართველოს კანონი “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, მუხლები 1,2

¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლები 18, 408-411

¹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 408

¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 18

ერთეულის ბიუჯეტში. ასეთ გადასახადს ითვალისწინებს, მაგალითად, საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (მუხლი 16).

„გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით¹⁵.

კომპენსაციის მიღების გზები

მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის მიყენების ფაქტი სასამართლოს მიერ არის დამტკიცებული. თუმცა, როდესაც ზიანი გარდაუვალია და ხდება მისი შეგნებულად დაშვება, კანონმდებლობა ითვალისწინებს კომპენსაციის წინასწარ მიღების მექანიზმს. ეს არის ქონების ექსპროპრიაციის კომპენსაცია¹⁶.

ამის გარდა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არსებობს შემთხვევები, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ „არაპირდაპირ“ კომპენსაციებს: როდესაც ხდება გარემოსთვის ზიანის მიყენება, რომლის დათვლა ხდება წინასწარ და რომლისთვისაც შედის გადასახადი ბიუჯეტში დადგენილი პროცედურის შესაბამისად¹⁷. ასეთ შემთხვევაში თავად მოქალაქეები არანაირ მატერიალურ ანაზღაურებას არ იღებენ.

საგზაო მშენებლობის ან გზის ნეგატიური ზემოქმედებისთვის კომპენსაციის მიღება მოქალაქეებს შეიძლება დასჭირდეთ შემდეგ სიტუაციებში:

- ტერიტორია, რომელზეც აღმოჩნდება საცხოვრებელი სახლი ან სხვა უძრავი ქონება, აღმოჩნდება გზის "განთავსების ზონაში" - ანუ,

¹⁵ 2011 წელს განხორციელებული მთავრობის სტრუქტურის ცვლილების შემდეგ, ამ მეთოდიკას ამტკიცებს (ცვლილებები შეაქვს) ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.

¹⁶ საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ (23.07.1999წ.)

¹⁷ კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (10.12.1996), კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (10.11.2000)

შენობები ექვემდებარება დანგრევას, მთლიანად უძრავი ქონება კი - ექსპროპრიაციას ან გამოსყიდვას.

- ტერიტორია, რომელზეც განლაგებულია საცხოვრებელი სახლი ან სხვა უძრავი ქონება, აღმოჩნდება გზის მავნე ზემოქმედების ზონაში¹⁸. სახლებისთვის ეს ნიშნავს, რომ ისინი საცხოვრებლად უვარგისი
- ტერიტორია, რომელზეც განლაგებულია საცხოვრებელი სახლი ან სხვა უძრავი ქონება, აღმოჩნდება გზის მავნე ზემოქმედების ზონის საზღვარზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხმაურით გამოწვეული დისკომფორტის ზონაში.
- ტერიტორია, რომელზეც განლაგებულია საცხოვრებელი სახლი ან სხვა უძრავი ქონება, აღმოჩნდება გზის მავნე ზემოქმედების ზონის გარეთ. ამ შემთხვევაში ზიანი შეიძლება გამოიხატებოდეს უძრავი ქონების გაუფასურებაში.

როგორ უკვე აღვნიშნეთ, პირველ შემთხვევაში შესაძლებელია კომპენსაციის მიღება წინასწარ. მეორე, მესამე და მეოთხე შემთხვევაში მდგომარეობა მოსახლეობისთვის უფრო რთულია: კომპენსაციის მისაღებად მათ უნდა მიმართონ სასამართლოს უკვე ზიანის მიყენების შემდეგ.

თუ დაგეგმილი გზა გაივლის უშუალოდ შენობაზე, ნაგებობასა ან მიწის ნაკვეთზე, როგორც წესი, ხდება ნეგატიური ზემოქმედების აღიარება, რადგან გზის ასაშენებლად აუცილებელია ამ ობიექტების ექსპროპრიაცია და დანგრევა ამასთან, როგორც წესი, ეს უნდა მოხდეს გზის

¹⁸ ქართულ კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული ზუსტი ტერმინი ამ ზონისთვის. რუსულ სამშენებლო კანონმდებლობაში, ასევე სამშენებლო ნორმებში, რომელთა ნაწილი საქართველოშიც მოქმედებს, ის განსაზღვრულია, როგორც „санитарный разрыв дороги“. თუმცა, „მწვანე ალტერნატივას“ მიერ მოპოვებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საქართველოში სწორედ ეს ტერმინი არ მოქმედებს, ამიტომ ვიხმარეთ პირობითი ტერმინი „მავნე ზემოქმედების ზონა“, რომ მკითხველისთვის გასაგები იყოს, რა იგულისხმება. ამ ნაშრომის მიზნებისთვის ის განვსაზღვრეთ, როგორც მანძილი მავნე ზემოქმედების წყაროდან, რომელზეც ეს ზემოქმედება მცირდება ზღვრულად დასაშვებ ნორმამდე. ამ ზონის სიგანე შეიძლება იყოს დამოკიდებული მრავალ ფაქტორზე და სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში იქნება განსხვავებული. მავნე ზემოქმედების ზონის სიგანის გათვალისწინება აუცილებელია მოსახლეობის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დასაცავად.

მშენებლობის დაწყებამდე. კანონმდებლობა ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების ჩამორთმევას სახელმწიფო ან მუნიციპალური საჭიროებებისთვის და კომპენსაციების გაცემას¹⁹.

ექსპროპრიაციისა და კომპენსაციის პროცედურები

ექსპროპრიაციისა და კომპენსაციის პროცედურები განისაზღვრება კანონით “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ (23.07.1999)

ექსპროპრიაციის განხორციელებისათვის აუცილებელია:

1. პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც განსაზღვრავს ექსპროპრიაციის გარდაუვალობას და სუბიექტს, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება.
2. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება. გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს საექსპროპრიაციო ქონების დეტალურ აღწერას და შესაბამის მითითებას მესაკუთრის სათანადო კომპენსაციით უზრუნველყოფის აუცილებლობის თაობაზე.

პრეზიდენტის ბრძანებულება წინ უძღვის სასამართლოს გადაწყვეტილებას. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ რაიონული (საქალაქო) სასამართლო²⁰.

პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ ექსპროპრიაციის უფლების მოპოვებით დაინტერესებული პირი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია ყველა მესაკუთრეს, რომლის ქონება ექვემდებარება ექსპროპრიაციას. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ცენტრალურ და შესაბამისი რაიონის ადგილობრივ პრესაში და უნდა შეიცავდეს

¹⁹ საქართველოს კანონი “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, მუხლი 2

²⁰ საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, მუხლი 3

პროექტისა და მისი განხორციელების ფარგლების, აგრეთვე ტერიტორიისა და, სავარაუდოდ, საექსპროპრიაციო ქონების მოკლე აღწერას. გარდა ამისა, ყველა მესაკუთრეს უნდა ეცნობოს სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოს მიერ განცხადების განხილვის თარიღი²¹.

ექსპროპრიატორი ვალდებულია წინასწარ შეუთანხმდეს ქონების მესაკუთრეს საექსპროპრიაციო ქონების კომპენსაციის წესის შესახებ. ექსპროპრიატორმა ყველა სათანადო ღონისძიება უნდა განხორციელოს, რათა ქონება მიიღოს მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე²².

მოლაპარაკების დაწყებამდე ექსპროპრიატორი თავისი ხარჯით, დამოუკიდებელი ექსპერტის დახმარებით აფასებს ქონებას და განსაზღვრავს კომპენსაციის სახით მესაკუთრისთვის გადასაცემ სავარაუდო საკომპენსაციო თანხას ან სხვა ქონებას საექსპროპრიაციო ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

მესაკუთრე უფლებამოსილია თავისი ხარჯით მოიწვიოს სხვა დამოუკიდებელი ექსპერტი ქონების შესაფასებლად.

ქონების შეძენაზე მოლაპარაკების დაწყებამდე ექსპროპრიატორმა ქონების მესაკუთრეს უნდა წარუდგინოს წინადადება ქონების შეძენისა და ამ ქონების კომპენსაციის წესის შესახებ. კომპენსაციის სახით შეთავაზებული სხვა ქონების საბაზრო ღირებულება ან საკომპენსაციო თანხა არ უნდა იყოს ექსპროპრიატორის მიერ შეფასების შედეგად განსაზღვრულ თანხაზე ნაკლები.

საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ მესაკუთრისათვის კომპენსაციის სახით სხვა ქონების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით.

ექსპროპრიაციის დაწყებამდე ექსპროპრიატორმა მესაკუთრეს უნდა გადასცეს წერილობითი საბუთი, სადაც მოცემულია:

²¹ საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, მუხლი 4

²² საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, მუხლი 6

- დასაბუთება ქონების ჩამორთმევის საზოგადოებრივი აუცილებლობის არსებობის შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება და სასამართლოს გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ექსპროპრიატორს მიენიჭა ქონების ჩამორთმევის უფლება;
- დასაბუთება ქონების საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის გამოყენების შესახებ;
- საექსპროპრიაციო ქონების მდებარეობისა და მოცულობის დეტალური აღწერა, საკომპენსაციო თანხის ოდენობა ან კომპენსაციის სახით გადასაცემი სხვა ქონების დეტალური აღწერა და მისი საბაზრო ღირებულება²³.

ქონების შეძენის შესახებ წინადადება უნდა ითვალისწინებდეს ასევე იმ ნაკლებად ღირებული ქონების კომპენსაციასაც, რომლის ზომა, ფორმა და მდგომარეობა უმნიშვნელოა, მაგრამ რომელიც დაკავშირებულია შესაძენ ქონებასთან და მის გარეშე გამოუსადეგარია²⁴.

თუ ექსპროპრიატორი და ქონების მესაკუთრე ვერ თანხმდებიან ქონების საბაზრო ღირებულებასა და საკომპენსაციო თანხაზე ან კომპენსაციის სახით შეთავაზებული ქონების გადაცემაზე, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში²⁵.

სასამართლო უფლებამოსილია თავად განსაზღვროს საექსპროპრიაციო ქონების კომპენსაციის სახე. ის ასევე უფლებამოსილია ქონების შეფასების მიზნით დანიშნოს დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს სასამართლოს დასკვნას საექსპროპრიაციო ქონების, ასევე ამ ქონების სანაცვლოდ მესაკუთრისათვის კომპენსაციის სახით შეთავაზებული სხვა ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის, აგრეთვე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ ქონების მესაკუთრისათვის გადასაცემი კომპენსა-

²³ კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, 1999, მუხლი 7

²⁴ „კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, 1999, მუხლი 6

²⁵ კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, 1999, მუხლი 8

ციის საბოლოო შეფასებას ახორციელებს სასამართლო²⁶. ექსპროპრიატორი ვალდებულია გადაიხადოს მხარეთა მიერ გაღებული ყველა ხარჯი, მათ შორის სამართალწარმოების ხარჯები, აგრეთვე საექსპროპრიაციო ქონების შეფასებასთან და მის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები²⁷.

სასოფლო-სამეურნეო მიწის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ასევე მასზე არსებული ნათესების ღირებულება, რომელიც გამოიანგარიშება იმ შემოსავლის გათვალისწინებით, რომელსაც ქონების მესაკუთრე მისგან მიიღებდა მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში. თუ სასოფლო სამეურნეო მიწებზე თესვა განხორციელდა ქონების შეფასების შემდეგ, მათი ღირებულების გათვალისწინება კომპენსაციის განსაზღვრისას არ ხდება²⁸.

ვინაიდან შენობების დანგრევა მოსახლეობის გასახლების გარეშე შეუძლებელია, კომპენსაციის დროულად მიღება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. რჩება კომპენსაციის ოდენობის პრობლემა, რაც უკვე მიწისა და შენობის ღირებულების შეფასების, ასევე ასანაზღაურებლად შემოთავაზებული საცხოვრებელი ფართის ზომა - განლაგების საკითხია.

იქ, სადაც საქმე ეხება არა საცხოვრებელ სახლს, არამედ გარაჟს ან მიწის ნაკვეთს (სააგარაკო, ბაღებს, ყანებს და სხვა), აქტუალური რჩება არა მარტო კომპენსაციის ოდენობის, არამედ მისი დროულად მიღების საკითხიც. ამ სიტუაციაში აუცილებელია საგზაო მშენებლობის პროექტში წინასწარ იყოს გათვალისწინებული საჭირო თანხები. მნიშვნელოვანია დაინტერესებულმა მოსახლეობამ ყურადღებით ადევნოს თვალყური დაპროექტებისა და მშენებლობის ეტაპების სწორად მიმდინარეობას. გზის მშენებლობის დაწყება შეიძლება მხოლოდ ნაკვეთების და ობიექტების ჩამორთმევის, ანუ მათი გამოსყიდვის და/ან ზარალის ანაზღაურების შემდეგ.

²⁶ კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, 1999 მუხლი 9

²⁷ კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, 1999, მუხლი 10

²⁸ კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, 1999 მუხლი 11

რა ვენათ თუ სახლი გზის პირასაა?

მაგნე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები

შესაძლო მაგნე ზემოქმედება და მისი ზღვრულად დასაშვები ნორმები გზის მშენებლობისას და ექსპლუატაციისას განისაზღვრება:

- საქართველოს კანონით „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (10.12.1997)
- გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმებით, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N 297/ნ ბრძანებით „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“. მათ შორის:
 - ზედაპირული წყლის დაბინძურებისგან დაცვის სანიტარული წესები და ნორმები
 - ჰიგიენური მოთხოვნები არაცენტრალიზებული წყალმომარაგების წყლის ხარისხისადმი. წყაროების სანიტარული დაცვა
 - მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისგან დაცვის სანიტარული წესები
 - წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები
 - ჰიგიენური მოთხოვნები დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი
 - დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები
 - ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელ, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე - სანიტარული წესები და ნორმები
 - საწარმოო ვიბრაცია, ვიბრაცია საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში სანიტარული წესები და ნორმები

- დასახლებული ადგილების ნიადაგის მდგომარეობის ჰიგიენური შეფასება - მეთოდური მითითები

ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ნიადაგის და ა.შ. დაბინძურების კონტროლი და ანთროპოგენული დატვირთვით გამოწვეული დაბინძურების ხარისხის დადგენა ევალება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტს²⁹.

დასახლებული ტერიტორიიდან გზის დაცილების სტანდარტები

სამშენებლო ნორმებითა და წესებით (სნ და წ 2.05.02-85 „საავტომობილო გზები“)³⁰ დადგენილია დასახლებებიდან საავტომობილო გზების დაცილების შემდეგი ნორმები:

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზების გაყვანა რეკომენდირებულია დასახლებული პუნქტების გვერდის ავლით, დასახლებებში მისასვლელი გზების მშენებლობის გათვალისწინებით. იმისთვის, რომ სამომავლოდ შესაძლებელი იყოს ტრასის რეკონსტრუქცია მანძილი მისი სავალი ნაწილის უკიდურესი ხაზიდან დასახლებულ პუნქტამდე არ უნდა იყოს 200 მეტრზე ნაკლები, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე - 50 მ.

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ტექნიკური და ეკონომიკური გათვლების შედეგად მიზანშეწონილად ითვლება გზის გაყვანა დასახლებულ პუნქტზე, მინიმალური მანძილი საცხოვრებელი განაშენიანების საზღვრამდე უნდა შეადგენდეს 50 მეტრს, ხოლო ხმაურდამცავი ზომების გატარების შემთხვევაში - 25 მ.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზისთვის მინიმალური მანძილი საცხოვ-

²⁹ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულება, მუხლი 4.

³⁰ ეს არის ყოფილი სსრკ სამშენებლო სტანდარტები, რომელთა მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე გაგრძელებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით N45 „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ“ (24.02.2006 წ.).

რეელი განაშენიანების საზღვრამდე უნდა შეადგენდეს 50 მეტრს, სასოფლო-სამეურნეო ნარგავებამდე - 25 მეტრს.

იმისთვის, რომ განაშენიანებული ტერიტორია დაცული იყოს ხმაურის-გან და გამონაბოლქვისგან, გზის გასწვრივ გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 10 მ. სიგანის მწვანე ნარგავების ზოლი.

სამშენებლო ნორმების დაცვის კონტროლს გზის დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესში, პროექტის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკურ მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი³¹.

თუ არსებობს საცხოვრებელი სახლის დაზიანების რისკი

თუ თქვენს მახლობლად მიმდინარეობს გზის მშენებლობა და თქვენ გაქვთ საფუძველი ივარაუდოთ, რომ ის აზიანებს თქვენს საცხოვრებელ სახლს ან სხვა უძრავ ქონებას, გაითვალისწინეთ, რომ დამკვეთს, დამპროექტებელს და მშენებელს, რომლებმაც ეს საქმიანობა წამოიწყეს უკვე არსებული განაშენიანების პირობებში, კანონით აკისრიათ კონკრეტული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა თქვენი უძრავი ქონების მდგომარეობაზე. მათ უნდა უზრუნველყონ ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელება, რათა გამოირიცხოს მათი მიზეზით მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების დეფორმაცია და დაზიანება³².

დამკვეთის ვალდებულებები

ჩამოყალიბებული განაშენიანებით³³ შეზღუდულ პირობებში მშენებარე შენობა-ნაგებობების დამკვეთმა წინასაპროექტო სამუშაოების დროს უნდა ჩაატაროს მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მდგრადობის კვლევა, შეისწავლოს მათი მდგომარეობა და განსაზღვროს, თუ რა ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს მათზე დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს.

³¹ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულება, მუხლი 8, 8²

³² საქართველოს მთავრობის N 57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (24.03.2009 წ.)

³³ ირგვლივ უკვე არსებული შენობა-ნაგებობები. საქართველოს მთავრობის დადგენილება (N 57; 24.03.2009 წ.)

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (მუხლი 35)

მომიჯნავე შენობა-ნაგებობების დეფორმაციის ან დაზიანების ფაქტის დადასტურებისას დამკვეთი ვალდებულია:

- საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს მიწის ნაკვეთის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების დეფორმაცია და დაზიანება;
- იმ შემთხვევაში, თუ გამოსწორება ვერ ხერხდება, მოახდინოს ზიანის შესაბამისი კომპენსირება დაზიანებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე³⁴.

დამპროექტებელის ვალდებულებები

პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას³⁵.

მშენებლების ვალდებულებები

მშენებლობის პროცესში შესაბამისმა სპეციალისტებმა უნდა უზრუნველყონ მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე მუდმივი დაკვირვება. დეფორმაციების აღმოჩენის შემთხვევაში, მათ გადაუდებლად უნდა აცნობონ ამის შესახებ შენობა-ნაგებობის მესაკუთრეს/მოსარგებლეს და მშენებლობისათვის სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს³⁶.

როგორ ვებრძოლოთ ხმაურს

გზის მავნე ზემოქმედების შესაძლო ფაქტორებიდან ხმაური ყველაზე დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება. შესაბამისად, სწორედ ის განსაზღვრავს გზის მავნე ზემოქმედების ზონის სიგანეს. ხმაურდამცავი ღონისძიებების გატარება მიღებული პრაქტიკაა ყველა მასშტაბური გზის მშენებლობისას, თუ მან უნდა გაიაროს დასახლებული პუნქტების მიმდებარედ. ეს ღონისძიებები მოიცავს:

³⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (N 57; 24.03.2009 წ.)

³⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (N 57; 24.03.2009 წ.)

³⁶ საქართველოს მთავრობის N 57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (24.03.2009)

- ხმაურდამცავი ეკრანების, ბორცვების, ან სხვა სახის ბარიერების მოწყობას;
- ხმაურდამცავ გამწვანებას - სწრაფად მოზარდი ხეების დარგვას;
- საცხოვრებელი სახლების ავტომაგისტრალისკენ მიქცეული კედლებისა და ფანჯრების ბგერათიზოლაციის გაზრდას (მაგ. მეტალოპლასტმასის ფანჯრების ჩასმას);
- გზის ჩაღრმავებას;
- ხმაურის დამხშობი სპეციალური მასალის გამოყენებას გზის საფარისთვის;
- და სხვა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ზომა განსაზღვრულია დღეისათვის საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით (სნ და წ 2.05.02-85 „საავტომობილო გზები“)³⁷.

რა ვენათ, თუ ყველაფერი კანონის ფარგლებშია?

საცხოვრებელი ტერიტორია დაშორებულია გზიდან

აქ იგულისხმება სიტუაცია, როდესაც გზა არ გაივლის საცხოვრებელი სახლების უშუალო სიახლოვეს, მაგრამ არც იმდენად შორს, რომ სახლების მაცხოვრებლების ცხოვრება არ შეცვალოს, მაგალითად, არ გააუფასუროს მათი უძრავი ქონება, ან არ გააუარესოს მათი საცხოვრებელი გარემო.

ასეთ მდგომარეობაში მოხვედრილი მოქალაქეებისთვის ყველაზე რთულია დაამტკიცონ საკომპენსაციო ღონისძიებების ან პროექტის შეცვლის აუცილებლობა, რადგან ფორმალურად ყველა ნორმა დაცულია. კომპენსაციის მისაღებად უნდა მოახერხოთ დამტკიცება, რომ გზის რეალური ზეგავლენა მეტი იქნება, ვიდრე პროექტით იყო განსაზღვრული, ანუ თქვენზე და თქვენს საცხოვრებელ ადგილზე მაინც ვრცელდება მისი მავნე ზემოქმედება, რის გამოც კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპენსაცია გეკუთვნით. ამისთვის უნდა შეაფასოთ ზიანი, რომელსაც პროექტი გაყენებთ და სასამართლოში იბრძოლოთ კომპენსაციის მისაღებად. საქმე შეიძლება ეხებოდეს

³⁷საქართველოს ტერიტორიაზე გაგრძელებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით N45 „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ“ (24.02.2006 წ.).

როგორც ქონებისთვის, ასევე ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

ვინ გადაიხდის მკურნალობის საფასურს?

ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გზით.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (10.12.1997) თანახმად, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოსა და სხვა ფაქტორების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ღონისძიებების შესრულება სავალდებულოა ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ნებისმიერი ფიზიკური, აგრეთვე იურიდიული პირისათვის (მუხლი 72). შესაბამისად, ეს ეხება მშენებლობის მწარმოებლებსაც. იმისთვის, რომ ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის სამშენებლო, არ ახდენდეს მავნე ზემოქმედებას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, სახელმწიფო, აღიარებს რა თავის მოვალეობად ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, შეიმუშავებს და ამტკიცებს სანიტარიულ-ჰიგიენურ წესებსა და ნორმებს და ახორციელებს ზედამხედველობას მათ დაცვაზე³⁸.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უმკაცრესი დაცვა კი ვერ იძლევა თქვენი ჯანმრთელობის სრულ გარანტიას. მავნე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები დონის დადგენით ვერ აღმოიფხვრება მთლიანად საფრთხე, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობას უქმნის მშენებლობა ან სხვა მავნე ფაქტორი. ზემოქმედების ყველა ნორმა გათვლილია „საშუალო“ სიტუაციაზე და „საშუალო“ ადამიანზე. მაგრამ ყველა ადამიანი ინდივიდია და მავნე ზემოქმედებასაც თითოეული ორგანიზმი სხვადასხვანაირად აღიქვამს.

³⁸ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 297/ნ „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ (16.08.2001წ.); გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულება (მუხლი 4).

ამიტომ ყოველთვის არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც ასეთი გასაშუალოებული ნორმების დაცვა საკმარისი არ არის.

თუ ახალი ტრასის მახლობლად ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც აქვს ინდივიდუალური შეზღუდვები გარკვეული სახის ზემოქმედებასთან დაკავშირებით, მაშინ გზამ ან მისმა მშენებლობამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საცხოვრებელი სახლი განლაგებულია იმ ზონის გარეთ, სადაც მავნე ზემოქმედება სცილდება ზღვრულად დასაშვებ დონეს. მაშინ მას უწევს ამტკიცოს, რომ მის შემთხვევაში გასაშუალოებული სანიტარული ნორმები უნდა შეიცვალოს. სამწუხაროდ, დღესდღეობით ამ პრობლემამ ვერ ჰპოვა მისაღები გადაწყვეტილება სამართლებრივ დონეზე. ერთადერთი, რაც შეიძლება არსებული კანონმდებლობით, არის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სასამართლოს გზით. ეს შეიძლება იყოს:

- მკურნალობის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა;
- სრული ან ნაწილობრივი, მუდმივი ან დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურების მოთხოვნა.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (მუხლი 408) საფუძველზე.

რა არის საჭირო, იმისთვის, რომ მოიგოთ სასამართლო პროცესი

იმისთვის, რომ სასამართლოში მოიგოთ საქმე ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, აუცილებელია ააგოთ მწყობრი ლოგიკური ჯაჭვი. მისი შემადგენელი რგოლები შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის დამადასტურებელი საბუთები - სამედიცინო ცნობები, წამლების და მკურნალობის ღირებულების ამსახველი ქვითრები, ცნობები სამსახურიდან, სამედიცინო კომისიების დასკვნები და ა.შ.
2. გარემოს მავნე ფაქტორის (მაგალითად, ხმაური ან მავნე ნივთიერება) აღწერა და მიყენებულ ზიანთან მისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მტკიცებულებები, ცნობების, დასკვნების და ა.შ. ჩათვლით.

3. ობიექტი (გზა) - მავნე ფაქტორის წყარო, იმის დეტალური დასაბუთებით, რომ სწორედ ის ქმნის მავნე ზემოქმედებას. ამისთვის ხელთ უნდა გქონდეთ საექსპერტო დასკვნები, გაზომვების შედეგები და სხვა შესაძლო მტკიცებულებები.
4. მოპასუხე - მოცემული გზის ფუნქციონირებაზე/მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირი. ხშირად ეს არის ხელისუფლების ორგანო ან სახელმწიფო დაწესებულება.

როგორც ვხედავთ, ზიანის მიყენების დასამტკიცებლად და კომპენსაციის მისაღებად საჭიროა დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოგროვება, ამაზე უმჯობესია იზრუნოთ წინასწარ, სანამ სასამართლოს მიმართავთ. განსაკუთრებით რთულია მავნე ფაქტორების შესახებ, ისეთების, როგორცაა ხმაური, ჰაერის დაბინძურება, წყლის დაბინძირება, ვიბრაცია, ფონური ინფორმაციის მოპოვება. ანუ მონაცემების მოპოვება იმის შესახებ, თუ როგორი იყო ამ ფაქტორების ინტენსივობა მოცემული გზის მშენებლობის დაწყებამდე. იმის გათვალისწინებით, რომ გარემოს კონტროლი საქართველოში ძალიან დაბალ დონეზეა (პრაქტიკულად არ ტარდება არსად), ასეთი მონაცემების მოპოვება საკმაოდ ძნელია და ხშირად გადაუჭრელ პრობლემად იქცევა ხოლმე.

შესაძლებელია თუ არა გადავარჩინოთ პარკი?

ტრასა გადის რეკრეაციულ ტერიტორიებზე

“ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (10.11.2000) თანახმად, ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები მათი ადგილმდებარეობის მნიშვნელობიდან გამომდინარე იყოფა სამ კატეგორიად (მუხლი 6). ამ კატეგორიებისთვის დადგენილია კოეფიციენტები, რომელთა შესაბამისად მათი დაზიანების, განადგურებისა და ამოძირკვის შემთხვევაში გამოითვლება გარემოსთვის მიყენებული ზიანი და შესაბამისი გადასახადი (მუხლი 7).

კანონი კრძალავდა მშენებლობას ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყეში და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე (მუხლი 2). მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საკმარისად გავლენიან დაინტერესებულ ჯგუფს ყოველთვის შეუძლია

მიადწიოს იმას, რომ ტერიტორია უბრალოდ ამოღებულ იქნას სახელმწიფო ტყის ფონდიდან. მაგალითად, ამ კანონში შევიდა სპეციალური ცვლილებები იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მშენებლობის განხორციელება ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე³⁹. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ყურადღებით ადევნოთ თვალყური სიტუაციას და იყოთ მზად თქვენი აქტიური მოქმედებით დაიცვათ კანონი მისი ბოროტად გამოყენების შესაძლო მცდელობისგან.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე, პრაქტიკულად, ამ კანონს აზრი აქვს დაკარგული. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზევე საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება (20.08.2010; N1070) „დედაქალაქის საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელმწიფო ტყის ფონდის კუთვნილი ფართობების (8106.9 ჰა) სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვის შესახებ“. ამ განკარგულების შესაბამისად, თბილისის საზღვრებში არსებული მთელი ტყე ამორიცხა სახელმწიფო ტყის ფონდიდან - სულ 8106.9 ჰა ფართობი.

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებური მოჭრა, ან გამწვანებისათვის გამოყოფილი ზოლის დაზიანება – ისჯება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით.

კოდექსში ცალკე მუხლადაა გამოყოფილი პასუხისმგებლობა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაზიანების, თვითნებური გაჩეხვის ან/და გადატანისა, მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარღვევისათვის.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ტერიტორიის დაზიანებისათვის სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას.

³⁹ 18.12.2007 N 5642 –III

რა უფლებები აქვს ბუნებას?

როგორ დავიცვათ დაცული ტერიტორიები

როგორც წესი, დაცული ტერიტორიის (ნაკრძალის, ეროვნული პარკის, ბუნების ძეგლის, აღკვეთილის) სტატუსი არ უშვებს მის ტერიტორიაზე საერთო სარგებლობის გზების, განსაკუთრებით დიდი სატრანზიტო ტრასების მშენებლობას⁴⁰. მაგრამ საგზაო პროექტის ლობისტების გავლენა და რესურსი შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ მათ შეძლონ მიაღწიონ დაცული ტერიტორიის საზღვრების ან სტატუსის შეცვლას. იმისთვის, რომ დაიცვათ დაცული ტერიტორია განადგურებისგან, უნდა ყურადღებით ადევნოთ თვალყური შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გატარების მცდელობას.

მართალია, პირდაპირ დაცულ ტერიტორიებზე გზის გაყვანა არ ხდება ძალიან ხშირად, მაგრამ გზის სიახლოვეც კი მათთვის შეიძლება გამოუსწორებელი ზიანის მომტანი იყოს.

რომელ საკანონმდებლო ნორმებს შეგვიძლია დავეყრდნოთ ამ შემთხვევაში?

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით (სნ და წ 2.05.02-85 „საავტომობილო გზები“) დაუშვებელია ტრასის გაყვანა სახელმწიფო ნაკრძალებისა და აღკვეთილების ტერიტორიაზე და ზონებზე, რომლებიც ბუნების ან კულტურის ძეგლად არის აღიარებული.

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (მუხლი 20), დაცული ტერიტორიის შიგნით იკრძალება:

- ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა;
- რომელიმე ბუნებრივი რესურსის განადგურება (ამოწყვეტა), ამოღება, რღვევა, დაზიანება, შემფოთება;
- გარემოს დაზინძურების მიზეზით ბუნებრივი ეკოსისტემების და სახეობების დაზიანება;

⁴⁰ საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (07.03.1996წ.); სამშენებლო ნორმები და წესები (სნ და წ 2.05.02-85 „საავტომობილო გზები“)

- ტერიტორიაზე ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების შეტანა;
- მენეჯმენტის გეგმით დაუშვებელი საქმიანობა.

ამას გარდა, „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულია გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების ისეთი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს ეკოლოგიურ წონასწორობას (მუხლი 28).

აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალებს და სამიგრაციო გზებს (კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხლი 46).

საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად რაოდენობრივ ან ხარისხობრივ ცვლილებებს და მის დეგრადაციას (კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხლი 53).

როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ ამ კანონის ნორმების დარღვევის აღსაკვეთად?

2011 წელს საქართველოს მთავრობის სტრუქტურაში ცვლილებაში შეტანამდე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემადგელობაში შედიოდა გარემოს დაცვის ინსპექცია. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შეგძლოთ მიგემართათ გარემოს დაცვის ინსპექციისათვის. ამის საფუძველს გვაძლევდა კანონი „გარემოს დაცვის ინსპექციის შესახებ“ (04.05.2010 წ.), რომლის თანახმადაც ინსპექცია ვალდებული იყო განეხილა წერილობითი მიმართვები, განცხადებები და საჩივრები და მოეხდინა რეაგირება გარემოს დაცვის სფეროში კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე. საჩივარი შეიძლება ყოფილიყო როგორც წერილობითი, ასევე სატელეფონო, „ცხელ ხაზზე“ 070. ინსპექცია ასევე ვალდებული იყო ეცნობებინა განმცხადებლისთვის მიღებული ზომების შესახებ (მუხლი 10). 2011 წლის 11 მარტის N4403 კანონით გაუქმდა კანონი „გარემოს დაცვის ინსპექციის შესახებ“ (ამასთანავე, გაუქმდა გარემოს დაცვის ინსპექცია). დღეისათვის გაურკვეველია, რომელმა უწყებებმა შეითავსეს გარემოს დაცვის ინსპექციის ცალკეული ფუნქციები.

შესაძლებელია მშენებლობის, როგორც ეკოლოგიურად საშიში პროექტის, შეჩერების ან გადატანის სასამართლოს გზით მოთხოვნა. (კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხლი 6).

უფლებების დასაცავად აუცილებელი რესურსები

ნებისმიერი სერიოზული საქმე მოითხოვს ბევრ ძალისხმევას და დროს. თავისი უფლებების და ინტერესების დასაცავად ამ ძირითადი რესურსების გარდა სხვებიც დაგჭირდებათ. ეს რესურსები შეიძლება პირობითად დაიყოს სამ დონედ:

- სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების დონე (ეს პირველი დონე წარმოადგენს გარკვეულ პირობებს, რომლებშიც ხორციელდება ინტერესებისა და უფლებების დაცვა);
- პროექტის დონე;
- საინიციატივო ჯგუფის დონე.

დონე	რესურსი
რესურსები სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე	კანონმდებლობის არსებობა და ხარისხი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების უფლებების იურიდიულ დაცულობას
	ადმინისტრაციული სისტემის მუშაობის ეფექტურობა
	სასამართლო სისტემის არსებობა და ხარისხი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებების დაცვას
	დამოუკიდებელი მასმედიის არსებობა
რესურსები პროექტის დონეზე	პროექტის რეალიზების სტადია (სამოქმედო დროის არსებობა და პროექტში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა)
	პროექტით ხელისუფლების დაინტერესების ხარისხი
	პროექტით ინვესტორის

	დაინტერესების ხარისხი
რესურსები საინიციატივო ჯგუფის დონეზე	გავლენიანობა - პოლიტიკოსების და სხვა ცნობილი ადამიანების მოზიდვის შესაძლებლობა, ადმინისტრაციული რესურსი
	მასიურობა - აქციებზე მოქალაქეთა დიდი რაოდენობის მოზიდვის შესაძლებლობა, შედარებით დაბალი ხარჯებით
	შეკრულობა - საინიციატივო ჯგუფის უნარი შეიმუშავოს და განახორციელოს საერთო კოორდინირებული სამოქმედო გეგმა. საინიციატივო ჯგუფის ლიდერთა პიროვნული თვისებები
	ინფორმირებულობა - პროექტის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის დროულად მიღების უნარი
	დაფინანსება - მატერიალური რესურსის (ფული და არა მარტო ფული) მოზიდვის შესაძლებლობა
	კომპეტენტურობა - პრობლემის ანალიზისთვის და უფლებების დასაცავად სპეციალისტების და ექსპერტების მოზიდვის შესაძლებლობა
	აქტიურობა - მოქალაქეთა შესაძლებლობა და სურვილი, ხარჯონ საკუთარი დრო თავისი უფლებების დასაცავად (დახარჯული დროის რესურსი) ბრძოლაზე
	საზოგადოებასთან ურთიერთობა („პიარი“) - ტრადიციული და ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (ინტერნეტის ჩათვლით) ყურადღების თქვენს პრობლემაზე ფოკუსირების შესაძლებლობა

პირველი დონის რესურსებს აქვს ის უპირატესობა, რომ ისინი თავიდანვე არსებობს, მათ არსებობას უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოება და ყველას შეუძლია გამოიყენოს ისინი თავისი პრობლემების მოსაგვარებლად. მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაკლი არის ის, რომ ძალიან ძნელია მოვახდინოთ გავლენა ამ რესურსების მდგომარეობაზე და შევიტანოთ მასში ცვლილება. ამის მცდელობამ შეიძლება მოითხოვოს გაცილებით მეტი დრო და ძალისხმევა, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია გავილოთ. ასე, რომ ამ რესურსს, როგორც წესი, ვიყენებთ არსებული სახით. ამავე დროს, შესაძლებელია სიტუაცია, როდესაც თქვენს მოქმედებაზე დამოკიდებულია ამ რესურსების განვითარება, მაგალითად, როდესაც განიხილება კანონპროექტი, რომელმაც უნდა განსაზღვროს მწვანე ტერიტორიების სტატუსი ან უზრუნველყოს საკომპენსაციო ღონისძიებები. ამ შემთხვევაში თქვენს მცდელობას გააუმჯობესოთ კანონი, შეიძლება მოჰყვეს კონკრეტული შედეგი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი იქნება თქვენი უფლებების დასაცავად.

მეორე დონის რესურსები უფრო ექვემდებარება კორექციას, მაგრამ როგორც წესი, მოკლევადიან პერსპექტივაში ისინიც უნდა განვიხილოთ, როგორც მოცემული და უცვლელი. მიუხედავად ამისა, ისინი ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ და გამოიყენოთ.

ყველაზე ოპერატიული და ხელმისაწვდომი ის რესურსებია, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს საინიციატივო ჯგუფს. ეს არის ის, რასაც თავისუფლად შეიძლება მოუყაროს თავი მიზანდასახულ და დაინტერესებულ ადამიანთა მცირე კოლექტივმა და რაც მთავარია, ხშირად ეს რესურსები სრულებით საკმარისია იმისთვის, რომ დაიცვათ თქვენი უფლებები და ინტერესები.

მოქალაქეთა უფლებების დაცვისთვის საჭირო ინფორმაცია

ადამიანები, რომლებიც იგებენ მათი საცხოვრებელი ადგილის მახლობლად დაგეგმილი მშენებლობის შესახებ, დგებიან მრავალი პრობლემის წინაშე, მაგრამ მათგან პირველია მშენებლობის პროექტის და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიღება. სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ეს ინფორმაცია, როგორც წესი, ფრაგმენტულია და არ არის ყოველთვის სანდო. ამიტომ, ინფორმაციის შეგროვება საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი საქმეა.

ინფორმაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის:

- პირველადი - რა ვიციტ პროექტის შესახებ;
- გარემო - რა პირობებში (გეოლოგიურ, ეკოლოგიურ, იურიდიულ, სოციალურ და ა.შ.) ხდება პროექტის განხორციელება;
- საექსპერტო - შეფასებები
- და ა.შ.

შესაძლო საკითხების ჩამონათვალი, რომლებზეც უნდა ფლობდეთ ამომწურავ პირველად ინფორმაციას:

1. რა პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი (პროექტის სწორი დასახელების ჩათვლით)
2. რა ტერიტორიას ფარავს პროექტი
3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების რა გადაწყვეტილებებია უკვე მიღებული პროექტთან დაკავშირებით და რა არის კიდევ მისაღები არსებული წესის შესაბამისად
4. რა ორგანიზაციაა პროექტის განხორციელების ინიციატორი?
5. სად და ვისთან არის/არ არის პროექტი შეთანხმებული
6. პროექტის შინაარსი
7. პროექტის სხვადასხვა ეტაპის რეალიზაციის საორიენტაციო ვადები.

რისთვის გვჭირდება ინფორმაცია

1. საფრთხის (უფლებების დარღვევის) შესაფასებლად;
2. საფრთხის დამოუკიდებელი საექსპერტო შეფასების განსახორციელებლად;
3. ბრძოლაში შესაძლო მოკავშირეების მოსამებნად;
4. საპროტესტო აქციების ფორმის და ჩატარების დროის დასაგეგმად;
5. მას მედიისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად;
6. უფლებების სასამართლოში დასაცავად.

პირველადი ინფორმაციის მიღების შესაძლო ფორმები:

1. ზეპირი ინფორმაცია (დაწყებული „როგორც შეგვატყობინა ინფორმირებულმა ზემდგომმა წყარომ“ დამთავრებული „ერთმა ქალმა მითხრა“);
2. მონაცემთა ნორმატიული და სამართლებრივი ბაზები;
3. მას მედია;
4. წერილობით ან სხვა სახის ოფიციალურ შეკითხვაზე წერილობითი პასუხი.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

საჯარო ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ საჯარო დაწესებულებას წერილობითი განცხადებით. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი⁴¹.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ პასუხის გაცემა მოითხოვს დიდი დამატებითი სამუშაოს შესრულებას, მაგალითად: სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის ან მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს⁴².

განმცხადებელს ასევე უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის

⁴¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 37

⁴² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 40

გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას⁴³.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, ასევე არასწორი საჯარო ინფორმაციის მოწოდებისთვის თქვენ გაქვთ უფლება მიმართოთ სასამართლოს საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით⁴⁴.

რა გენათ, თუ მოქმედი კანონმდებლობა არასრულყოფილია?

როგორი კანონების ინიცირება და მხარდაჭერაა საჭირო?

პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება მოქალაქეთა უფლებების და ინტერესების სამართლებრივი დაცვის პროცესში, ხშირად გამოწვეულია არასაკმარისი და უზარისხო საკანონმდებლო უზრუნველყოფით. ქვემოთ მოყვანილია იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელთა გადაწყვეტა დაეხმარება მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. ყველა მოქალაქის ინტერესშია, ხელი შეუწყოს მათ სამართლებრივ გადაწყვეტას ნორმატიული აქტების დამოუკიდებელი ინიცირების ან სხვების მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილებების მხარდაჭერის გზით.

1. საგზაო მშენებლობის პროექტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების⁴⁵ ანგარიშის⁴⁶ არსებობის აუცილებლობა. დღესდღეობით მთელი რიგი საგზაო მშენებლობის პროექტები საერთოდ

⁴³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 41

⁴⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 47

⁴⁵ გარემოზე ზემოქმედების შეფასება არის დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და მოკვლევის პროცედურა, რომელიც შეისწავლის, გამოავლენს და აღწერს საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებსა და ისტორიულ ძეგლებზე ან ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის ერთიანობაზე, ასევე კულტურულ ფასეულობებზე და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე (საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, მუხლი 3)

⁴⁶ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგები, ჩამოყალიბებული ანგარიშის სახით, წარმოდგენილი საქმიანობის განმახორციელების მიერ სხვა საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში (დებულება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“, მუხლი 7)

გათავისუფლებულია გზმ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებისგან. ამის შესაძლებლობას შესაბამისი „საერთო-სახელმწიფოებრივი“ ინტერესების არსებობის შემთხვევაში იძლევა საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ (მუხლი 11). ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან თავისუფლებიან ის პროექტები, რომლებსაც ახორციელებს სახელმწიფო სტრუქტურა - სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება⁴⁷.

2. **საცხოვრებელი ფართის გაუფასურების და ახლომახლო გზის მშენებლობასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების საკითხი.** როგორც უკვე ვნახეთ, მსგავსი პრობლემები არსებულ კანონმდებლობაში საკმაოდ სუსტად არის ასახული.
3. **ზარალის ანაზღაურების პრობლემა, რომელიც მოსახლეობას ადგება შენობის ან მიწის ნაკვეთის ფუნქციური დანიშნულების შეცვლით, მისი გამოყენების შეზღუდვით ან იმით, რომ ის ხვდება გზის მავნე ზემოქმედების ზონაში.**
4. **საავტომობილო გზის მავნე ზემოქმედების ზონის (სანიტარულ-დამცავი ზონის) კანონმდებლობაში განსაზღვრის საკითხი.**
5. **მწვანე ნარგავების განადგურების შემთხვევაში აუცილებელი საკომპენსაციო გამწვანების საკითხი.** დღესდღეობით კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ვალდებულება მწვანე ნარგავების განადგურების შემთხვევაში მოხდეს მათ ნაცვლად ახლების დარგვა. განისაზღვრება მხოლოდ მათი განადგურებისთვის გადასახდელი თანხები.
6. **გადასახადის და საკომპენსაციო გამწვანების პრობლემა** იმ შემთხვევაში, როდესაც რეკრეაციული ტერიტორია ხვდება გზის მავნე ზემოქმედების ზონის საზღვრებში. ამ შემთხვევაში მწვანე ნარგავებს შეიძლება არ ემუქრებოდეს განადგურება, მაგრამ გზასთან სიახლოვის გამო ტერიტორია კარგავს თავის რეკრეაციულ მნიშვნელობას.
7. **სტანდარტების არარსებობა.** დღემდე გზების მშენებლობისას სარგებლობენ სხვადასხვა ქვეყნის სტანდარტებით, მშენებლის შეხედულების შესაბამისად. მაკონტროლებელ სტრუქტურებს უჭირთ ამ სტანდარტების მოძიება, რათა შეამოწმონ მათი და განხორციელებული სამუშაოების შესაბამისობა.

⁴⁷საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (24.06.2005წ.), მუხლი 1

ვინ ამოწმებს მშენებლებს?

ვის მივმართოთ დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში

სამწუხაროდ, ხშირია სიტუაცია, როდესაც გზის მშენებლობის პროცესში მშენებელი არ იცავს საპროექტო, სანიტარულ, ტექნიკურ ან სხვა მოთხოვნებს, რაც იწვევს მოქალაქეთა უფლებების დარღვევას. ამ შემთხვევაში დარღვევების აღმოსაფხვრელად უნდა მიმართოთ უფლებამოსილ მაკონტროლებელ და საზედამხედველო ორგანოებს და ორგანიზაციებს. ეს სტრუქტურები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: საერთო კომპეტენციის მქონე და სპეციალიზებული.

საერთო კომპეტენციის ორგანოები უნდა რეაგირებდნენ ყველა სახის დარღვევებზე, რომლებიც შეიძლება დაშვებული იყოს მშენებლობის მსვლელობაში. თუმცა, თითოეულ მათგანს მაინც თავისი სპეციფიკა აქვს. ეს ორგანოებია:

- მშენებლობის დამკვეთი და მისი ზემდგომი ხელისუფლების ყველა ორგანო;
- პროკურატურა;
- პოლიცია;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (თუ ისინი მონაწილეობენ პროექტის დაფინანსებაში)

მშენებლობის დამკვეთი და ზემდგომი ორგანოები, რა თქმა უნდა, უფლებამოსილები არიან მოთხოვნ მშენებლებს გაითვალისწინონ მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები. მაგრამ ამავე დროს, დამკვეთი და ინტერესებულია მშენებლობის სწრაფი დასრულებით. ამიტომ, მოქალაქეთა პრობლემების გადაწყვეტას ის მხოლოდ მაშინ ჰკიდებს ხელს, როდესაც საქმე სერიოზულ კონფლიქტამდე მიდის.

პროკურატურა თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებს, აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას (კანონი „პროკურატურის შესახებ“, მუხლი 48). კანონი არ განსაზღვრავს მის ვალდებულებას მიიღოს გამოძახება და გავიდეს ადგილზე, თუ საქმე არ ეხება ოპერატიულ-სამიმერო საქმიანობას. შემოსული საჩივრის საფუძველზე პროკურატურამ შეიძლება გამოითხოვოს და შეამოწმოს საბუთები, მაგრამ თუ ისინი წესრიგშია, სავარაუდოდ აღარ ეცდება

ჩაწვედეს პრობლემის არსს. იმისთვის, რომ გაიზარდოს პროკურატურის მხრიდან ზომების მიღების ალბათობა, საჩივარში უნდა აჩვენოთ დეტალურად და დასაბუთებულად, რომელი თქვენი უფლება იქნა დარღვეული და მშენებლების რომელი მოქმედების შედეგად.

პროკურატურისგან განსხვავებით, **პოლიციის** ადგილზე გამოძახება და მისთვის დარღვევების დემონსტრირება გაცილებით ადვილია. ამისთვის შეიძლება სატელეფონო ზარიც საკმარისი იყოს. პოლიციელს შეუძლია თქვენი თანდასწრებით დააფიქსიროს ყველა დეტალი. მაგრამ ამავე დროს, ხშირად, პოლიციელს არ შეუძლია განსაზღვროს, აქვს თუ არა ადგილი სამართალდარღვევას (ყველაზე აშკარა შემთხვევების გარდა) ელემენტარული ტექნიკური ცოდნის არქონის გამო.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შეუძლიათ მშენებლობაზე ზეგავლენა მოახდინონ მხოლოდ არაპირდაპირი გზით, დამკვეთის მეშვეობით, რომელსაც ისინი კრედიტს აძლევენ. ეს ნიშნავს, რომ არ უნდა ელოდოთ დარღვევის სწრაფ აღმოფხვრას.

სპეციალური მაკონტროლებელი და საზედამხედველო ორგანოები ის ორგანოებია, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს და ზედამხედველობას მხოლოდ თავის სპეციფიურ სფეროში.

გარემოსდაცვითი საზედამხედველო ორგანოები

2011 წლამდე გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – **გარემოს დაცვის ინსპექცია**⁴⁸. ის აკონტროლებდა და ხელს უწყობდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას და ახდენდა გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევათა პრევენციას, გამოვლენას და აღკვეთას⁴⁹. ინსპექცია უფლებამოსილი იყო შეემოწმებინა ობიექტები, მოეთხოვა მათგან ახსნა-განმარტებები და დაუბრკოლებლად მიეღო ყველა ზეპირი ან/და წერილობითი ინფორმაცია, ასევე სხვა დოკუმენტაცია და მასალები (ლაბორატორიული სინჯების და ანალიზის

⁴⁸ საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის ინსპექციის შესახებ“ (04.05.2010წ.), მუხლი 1,6

⁴⁹ საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის ინსპექციის შესახებ“ (04.05.2010წ.), მუხლი 8

შედეგების ჩათვლით), რომელიც შეეხებოდა მათ საქმიანობას და გარემოს დაცვის სფეროს⁵⁰.

გარემოს დაცვის ინსპექცია ვალდებული იყო განეხილა მოქალაქეთა წერილობითი მიმართვები, განცხადებები და საჩივრები, მათ შორის, „ცხელ ხაზზე“ შემოსული შეტყობინებები, მათში მოყვანილ დარღვევის ფაქტებზე მოეხდინა რეაგირება და ეცნობებინა განმცხადებლისთვის გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2011 წლის გაზაფხულზე განხორციელებული მთავრობის სტრუქტურის ცვლილებების შედეგად მოხდა გარემოს დაცვის ინსპექციის ლიკვიდაცია. მისი ფუნქციები გადანაწილდა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოსა და გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტს შორის. პირველი უფრო ახორციელებს ბუნებრივი რესურსების მათ შორის ტყის, უკანონო მოპოვების საწინააღმდეგო ღონისძიებებს. მეორის ფუნქციებში შედის: კომპეტენციის ფარგლებში გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება იმ პირთა მიმართ, რომელთაც გააჩნიათ სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა ან რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას; კომპეტენციის ფარგლებში გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება იმ პირთა მიმართ, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტს. როგორც ჩანს, ამ „რეფორმის“ პროცესში გარემოს დაცვის ინსპექციის ზოგიერთი ფუნქცია დაიკარგა.

კიდევ ერთი გარემოსდაცვითი საზედამხედველო ორგანო, რომელიც ახორციელებს ანთროპოგენული დატვირთვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ნიადაგის და ა.შ. დაბინძურების მონიტორინგს და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების შესრულებაზე კონტროლს, არის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი

⁵⁰ საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის ინსპექციის შესახებ“ (04.05.2010წ.), მუხლი 9

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი⁵¹.

სამშენებლო საზედამხებველო ორგანო

2010 წლამდე საქართველოში მოქმედებდა 1997 წელს მიღებული კანონი „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“, რომლის თანახმადაც სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებდა მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექცია. ეს უწყება ამოწმებდა ობიექტის მშენებლობას. მისი ამოცანა იყო მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო და ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ეს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა კანონით „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ (08.04.2010)⁵². ამ კანონის თანახმად შეიქმნა ახალი სამშენებლო საზედამხებველო ორგანო - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია (მუხლი 4). კანონით განსაზღვრულია ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის სტატუსი და უფლებამოსილებები. ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა და ახორციელებს ობიექტების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას⁵³.

ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია უფლებამოსილია უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში განახორციელოს ობიექტის ინსპექტირება და დააკისროს დამრღვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. მისი ფუნქციაა ასევე გააკონტროლოს მშენებლობაში მონაწილეთა მიერ მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო და ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობა⁵⁴.

დარღვევებისა და შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-

⁵¹ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულება, მუხლი 4.

⁵² მუხლი 32

⁵³ საქართველოს კანონი “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ (08.04.2010წ.), მუხლი 4

⁵⁴ იგივე

სამართლებრივ აქტს. არაარსებით შეუსაბამობას ინსპექცია იღებს ცნობად, ხოლო არსებითი შეუსაბამობის შემთხვევაში აკონტროლებს მისი გამოსწორებისათვის დათქმული ვადის დაცვას, მისი დარღვევის შემთხვევაში კი აჯარიმებს ობიექტის მფლობელს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის გამოსწორებისათვის⁵⁵.

კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია ობიექტს შეიტანს შემოწმების გეგმაში (რომელიც შემუშავდება რამდენიმე ობიექტზე კრიტიკული შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში, შეუსაბამობის გამოსწორებამდე), აკონტროლებს, რომ არ მოხდეს გაჩერებული ობიექტის ექსპლუატაცია, ხოლო ობიექტის ფარულად ექსპლუატაციის შემთხვევაში აჯარიმებს მის მფლობელს და აჩერებს ექსპლუატაციას⁵⁶.

სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო რეგლამენტებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა ისჯება დაჯარიმებით. ჯარიმის ოდენობა გზის ადგილმდებარეობიდან და კატეგორიიდან გამომდინარე, განისაზღვრება საქართველოს კანონით „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ (მუხლი 23). ამასთან, დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისა და დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან (მუხლი 29).

საზედაშედეგლო ორგანოები საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურაში

საავტომობილო გზების განვითარების და განსახლების სამმართველოს ფუნქციებში შედის

- მიმდინარე სამუშაოებზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელება, მშენებლობის პროცესში წამოჭრილი პრობლემური საკითხების შეს-

⁵⁵ საქართველოს კანონი “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ (08.04.2010წ.), მუხლი 7

⁵⁶ საქართველოს კანონი “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ (08.04.2010წ.), მუხლი 7

წავლა და მათი მოგვარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე წინადადებების მომზადება⁵⁷;

- განსახლების სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული გამოსასყიდი მიწის ფართობებისა და მათზე განთავსებული უძრავი ქონების რაოდენობრივი და თანხობრივი მონაცემების დაზუსტება მესაკუთრეებისა და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით⁵⁸;
- ქონების მფლობელებთან მოლაპარაკებების წარმოება, ნასყიდობის ხელშეკრულებების პირობების შეთანხმება, მათი გაფორმება და გამოსყიდული მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების პროცესში მონაწილეობის მიღება⁵⁹;

საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს ფუნქციებში შედის

- წარმოდგენილი პროექტების განხილვა, ტექნიკური მონიტორინგისა და შესაბამისი ანალიზის ჩატარების უზრუნველყოფა და ამის საფუძველზე წინადადების წარმოდგენა პროექტის შესაბამისობისა და მისი განხორციელების თაობაზე;
- საინჟინრო პროექტების დამუშავებაზე დამკვეთის ფუნქციების განხორციელებასა და მათი შესრულების კონტროლის უზრუნველყოფა⁶⁰;
- საჭიროების მიხედვით, შესრულებული სამუშაოთა ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა, ლაბორატორიული ანალიზებისა და სხვა თანამედროვე მეთოდოლოგიებით განსაზღვრული წესებისა და ნორმების შესაბამისად და ამის საფუძველზე სათანადო დასკვნებისა და წინადადების მომზადება და წარმოდგენა⁶¹.

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და აუდიტის სამმართველოს ფუნქციებში შედის

- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულების საავტომობილო გზების მიმდინარე შეკვეთების სამუშაოების

⁵⁷ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულება, მუხლი 7¹

⁵⁸ იგივე

⁵⁹ იგივე

⁶⁰ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულება, მუხლი 8

⁶¹ იგივე

შესრულების მონიტორინგი, ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი⁶²;

- მშენებლობის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, რეაბილიტაციის, პერიოდული შეკეთების და სხვა სამუშაოების მიმდინარეობის შერჩევითი შემოწმება, სატენდერო-საპროექტო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა⁶³.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საზედამხედველო ორგანოს გარდა, საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და მის სამსახურებს.

დანართი

სასამართლო დავა

პროექტის შედეგად შესაძლებელია წარმოიშვას სხვადასხვა სადავო საკითხი: შენობა-ნაგებობებისათვის, მიწისა და მასზე განლაგებული ნარგავებისათვის მიყენებული ზიანი, საკომპენსაციო თანხის ოდენობა, კომპენსაციის დროულად მიღების საკითხი და სხვა. ამ საკითხების გადასაჭრელად შესაძლებელია საჭირო გახდეს სასამართლოსთვის მიმართვა.

სასამართლო

სასამართლო საქმეების ძირითადი ტიპებია:

- სამოქალაქო საქმე – პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები ფიზიკურ პირებს შორის. (განქორწინება, ალიმენტი, ზიანის ანაზღაურება, გამოსახლება, საბინაო დავა, ქონებრივი დავა);
- ადმინისტრაციული დავა - დავა ფიზიკურ პირებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის (ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა,

⁶² საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულება, მუხლი 8²

⁶³ იგივე

ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, სახელფასო დავა, საპენსიო დავა, შრომითი დავები წარმოშობილი სახელმწიფო ორგანოებთან);

- ☑ სისხლის სამართლის საქმე – სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით გათვალისწინებული დასჯადი ქმედების გამო წარმოებული საქმე (ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობა, თაღლითობა და ა. შ.).
- ☑ საკონსტიტუციო დავა - საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობით გამოწვეული დავა.

სულ ორი ტიპის სასამართლო არსებობს. ესენია: საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლო.

საერთო სასამართლოების სისტემა სამი დონის სასამართლოსგან შედგება ესენია: პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები. სარჩელით პირველად საქალაქო სასამართლოს უნდა მიმართოთ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სააპელაციო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კი - საკასაციო სასამართლოში. რიგი საქმეებისა თავიდანვე სააპელაციო სასამართლოში განიხილება (იმ შემთხვევაში დავა აღემატება 500 000 ლარს, თუ საქმე შეეხება ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს, საქმეებს რეკეტული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე).

ხანდაზმულობა

პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ანუ დროიდან როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას. ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ:

- ☑ ვალდებულების შესრულება გადადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი);
- ☑ სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა (მაგ. წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და ა.შ.);
- ☑ კრედიტორი, ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში.

ამასთანავე დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება, თუ მოთხოვნა მომდინარეობს ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს; ან მიმართულია ასეთი პირისადმი, ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად ითვლება, ვიდრე პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება, ან მას არ დაენიშნება წარმომადგენელი.

კანონიერ წარმომადგენლის სახით ქმედუუნარო მოქალაქის აგრეთვე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები, რომლებიც წარუდგენენ სასამართლოს თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს. დამადასტურებელ დოკუმენტებში, ამ შემთხვევაში, იგულისხმება: დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება. კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ სასამართლოში საქმის წარმოება მიანდონ ადვოკატს, რაც არ ართმევს მათ უფლებას თავადაც მიიღონ მონაწილეობა საქმის წარმოებაში.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადებს, კერძოდ: სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – 6 წელს.

ცალკეულ შემთხვევებში, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი (მევალე მოვალის წინაშე) უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით, სასამართლოში სარჩელის შეტანით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.

თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომში გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად.

თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით.

თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.

თუ უფლებამოსილი პირი 6 თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი

უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

ამასთანავე, თუ ვალდებულმა პირმა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, რაიმე სახით აღიარა თავისი ვალდებულება მეორე პირის მიმართ, ვალდებულია, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ვინაიდან მასზე აღარ გავრცელდება ხანდაზმულობის ვადა. რაიმე სახით აღიარება ნიშნავს ვალდებულების ხელწერილით აღიარებას ან ნაწილობრივ შეასრულებას, გადასახდელი თანხის ნაწილი ავანსის სახით გადახდას, სასამართლოზე ვალდებულების (ვალის) აღიარებას.

მთვარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა. მაგალითად: თუ დავა ეხება სესხის ხელშეკრულების შესრულებას ვალის დაბრუნების მოთხოვნით და გასულია 3-წლიანი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, მაშინ მოსარჩელე კარგავს უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის მოთხოვნის უფლებას.

ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია.

სასამართლოსათვის მიმართვა

თუკი თვლით, რომ დაირღვა თქვენი რომელიმე კანონიერი უფლება, ან მოგადგათ რაიმე უშუალო ზიანი, ან შეგელახათ კანონიერი ინტერესი შეგიძლიათ მოითხოვოთ ამ უფლების დაცვა სასამართლოს მეშვეობით.

სასამართლოსთვის მიმართვისას თქვენ არ გჭირდებათ იმის მტკიცება, კანონიერი იყო თუ არა მეორე მხარის ქმედება. თქვენი მიმართვის არსი სასამართლოსადმი სწორედ თქვენი კანონიერი უფლების შელახვაა. თუ

მეორე მხარეც კანონის ვარგლებში მოქმედებდა, მაშინ სასამართლო თავად აყენებს საკითხს კანონის ორი დებულების ურთიერთ-წინააღმდეგობის შესახებ, დადგენილი პროცედურით (შესაძლოა ზემდგომ, ან კონსტიტუციურ სასამართლოში მიმართვის გზით) იხილავს და წყვეტს მას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას თქვენს საქმეზე.

სასამართლოში სადაოდ გამხდარი ან დარღვეული უფლების დაცვის განხორციელება ხდება სარჩელის შეტანის გზით. სარჩელი უნდა წარადგინოთ წერილობითი ფორმით. სარჩელში აუცილებლად დაცული უნდა იყოს მისი შედგენის ფორმა და შინაარსი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 8 დეკემბრის #1/456 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სარჩელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, შესაგებლის განახლებული ფორმები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. სამოქალაქო ან ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში, სასამართლოსთვის მიმართვა დასაშვებია მხოლოდ აღნიშნული ფორმებით. ამ ფორმების და შესაბამისი ინსტრუქციების ნაბეჭდი ფორმით მოპოვება შესაძლებელია ნებისმიერ სასამართლოში, ხოლო ელექტრონული ფორმების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე⁶⁴.

სამოქალაქო საქმეებზე დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ ღირებულებას, მაშინ დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე. სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილი იქნა სარჩელი. თუ სარჩელის შეტანის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება, ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება.

ადმინისტრაციულ საქმეებზე კერძო პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას. ამ შემთხვევაში მოსამართლე გადაწყვეტილებაში მიუთითებს თუ რომელი მხარის მიერ

⁶⁴ იხ. <http://hcoj.gov.ge/>

უნდა იქნეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და რა ოდენობით.

იმისათვის, რომ სასამართლო წარმოებაში მიიღოს თქვენი სარჩელი, იგი უნდა პასუხობდეს არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, არამედ თქვენ ვალდებული ხართ სარჩელის სასამართლოში შეტანისას, კანცელარიაში ჩააბაროთ სარჩელის და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი რამდენი მოპასუხეც გყავთ. ერთი ეგზემპლარი სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ყველა შემთხვევაში სასამართლოს რჩება, ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეგზავნება მოპასუხე მხარეს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთი ეგზემპლარი სარჩელის და თანდართული დოკუმენტების აუცილებლად უნდა დაიტოვოთ თქვენ, რომელზეც კანცელარიაში მოაწერინებთ ხელს, რომ სასარჩელო განცხადება ჩაიბარეს, დაასმევინებთ ჩაბარების თარიღს და ვინ ჩაიბარა.

აღნიშნული წესი გამოიყენეთ ასევე განცხადების ჩაბარების დროსაც, ანუ განცხადების ჩაბარებისას ერთ განცხადებას ტოვებთ კანცელარიაში, როლო მეორე ეგზემპლარზე აწერინებთ ხელს, რომ ჩაიბარეს განცხადება. მეორე, ხელმოწერილი ეგზემპლარი ინახება თქვენ.

მაგალითად, თუ სარჩელი შეგაქვთ ერთი მოპასუხის მიმართ, სასამართლოში უნდა შეიტანოთ ორი სასარჩელო განცხადება თავისი თანდართული დოკუმენტებით. მესამე ეგზემპლარს, რომელზეც ხელს აწერინებთ, ინახავთ თქვენ.

მოსამართლე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება თქვენი სარჩელის მიღების შესახებ. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ სარჩელი არ არის შეტანილი კანონით დადგენილი წესით, ან არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, მაშინ მოსამართლე გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და განჩინებით მოსარჩელეს ეძლევა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. სასამართლო, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, ვალდებულია მოპასუხე მხარეს გადაუგზავნოს სასარჩელო განცხადების ასლი თანდართული დოკუმენტებით.

მოსამართლემ შესაძლოა არ მიიღოს სარჩელი წარმოებაში თუ:

საქმე არ არის ამ სასამართლოს განსჯადი;

- ☑ სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას.
- ☑ სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;
- ☑ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე.
- ☑ განცხადება შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა (არ აქვს რწმუნებულება);
- ☑ სასამართლოს წარმოებაშია საქმე იმავე დავაზე და იმავე მხარეებს შორის;
- ☑ მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომ დავას გადაწყვეტს კერძო არბიტრაჟი.

მოსამართლეს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია კერძო საჩივრით, რომელიც შეიტანება იმავე სასამართლოში იმავე მოსამართლის სახელზე. განჩინების გასაჩივრების ვადა მითითებული იქნება თავად განჩინებაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღიან ვადაში.

საქმის განხილვა ასევე შეიძლება დამთავრდეს მხარეთა მორიგებით, ამ შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს განჩინება, რითაც ამტკიცებს მორიგების პირობებს.

სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები

მნიშვნელოვანია, გახსოვდეთ, რომ სარჩელს სასამართლოში შეტანისას უნდა დაურთოთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის.

სასამართლოში საქმის განხილვისათვის ბაჟის გადახდის წესი და ოდენობა გამომდინარეობს კონკრეტული დავიდან.

ზოგადად, სამოქალაქო დავაზე, რომელიც არ ეხება ქონებრივ დავებს, დადგენილია სახელმწიფო ბაჟის 30 ლარის ოდენობით გადახდა, გარდა ქვემოთ მოცემული გამონაკლისებისა.

საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

- სარჩელებზე აგრეთვე განცხადებებზე გამარტივებული გადახდის ბრძანების მიღების შესახებ სადავო საგნის ღირებულების 3 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა;
- სააპელაციო საჩივრებზე: სადავო საგნის ღირებულების 4 პროცენტი მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა; - სააპელაციო საჩივარში იგულისხმება რაიონული, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება მხარეების მიერ სააპელაციო სასამართლოში.
- საკასაციო საჩივრებზე: სადავო საგნის ღირებულების 5 პროცენტი მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა; - საკასაციო საჩივარში იგულისხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება მხარეების მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
- კერძო საჩივრებზე – 50 ლარი
- განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ – 50 ლარი; - სარჩელის უზრუნველყოფა გულისხმობს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებას, მოპასუხის მიერ თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის შეზღუდვის გზით (ქონების ან ფასიანი ქაღალდებისა და

ფულადი სახსრების დაყადაღება, მტკიცებულების გამოთხოვა, მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა, მოპასუხის დავალდებულება რაიმე მოქმედების შესრულებაზე). ამასთანავე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანა შესაძლებელია გადაუდებელ შემთხვევაში (ქონების მოსალოდნელი გაყიდვა, გაჩუქება, ფიქტიური გასხვისება, გადამალვა) სარჩელის სასამართლოში შეტანამდე. უზრუნველყოფის რომელიმე ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში სასამართლო განჩინებით ადგენს ვადას რა ვადაშიც უნდა მოხდეს სარჩელის შეტანა სასამართლოში.

- განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ – თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – 100 ლარი, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 300 ლარი.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ერთი სასამართლო წარმოების ყველა ინსტანციისათვის არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკური პირისათვის 10 ათას ლარს, ხოლო იურიდიული პირისათვის 15 ათას ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს: ფიზიკური პირისათვის 3 ათას ლარს, ხოლო იურიდიული პირისათვის - 5 ათას ლარს. სააკველაციო ინსტანციის სასამართლოში – ფიზიკური პირისათვის 5 ათას ლარს, იურიდიული პირისათვის 7 ათას ლარს. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში – ფიზიკური პირისათვის 6 ათას ლარს, იურიდიული პირისათვის – 8 ათას ლარს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით: ფიზიკური პირის მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე - 10 ლარი; იურიდიული პირის მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე - 55 ლარი;

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეღავათები სახელმწიფო ბაჟში გარკვეული კატეგორიის მოსახლეობაზე, კერძოდ:

- ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე,

რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან;

- ☑ მოსარჩელენი – სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს სასავეტორო, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან, სარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე;
- ☑ ინვალიდები, ინვალიდთა საერთაშორისო ორგანიზაციები, მათი დაწესებულებანი, სასწალო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები ყველა სარჩელზე;
- ☑ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რაც დასტურდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობით;
- ☑ მშობელი ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩელე – სარჩელზე არასრულწლოვნის უფლებების დარღვევოს ან მისთვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საერთო სასამართლოების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ წარდგინებაზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდებინება: თუ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს წამოიჭრა საკითხი კანონის რომელიმე მუხლის არაკონსტიტუციურობაზე. ამ შემთხვევაში, სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე.

გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას საქმის წარმოების შეწყვეტისას ან სარჩელის განუხილველად დატოვებისას, თუ საქმე სასამართლოში განხილვას არ ექვემდებარება, აგრეთვე როდესაც მოსარჩელე არ იცავს მოცემული კატეგორიის საქმეებისათვის წინასწარი დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს ან აღიარებულია ქმედუუნარო პირად.

სახელმწიფო ბაჟი, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას, გაცემული უნდა იქნეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე შესაბამისი ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ იმ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ.

სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ასევე, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს ან გადაუწილვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლოს ხარჯების გადახდა ან შეამციროს ხარჯების ოდენობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. აფინოგენოვი, ვ. ბესკროვნაია, ტ.ვინოგრადოვა, ა. კარპოვი, ა. კუზნეცოვა, ვ. პონომარიოვა, ა. სმირნოვი. „მოქალაქეთა უფლებების და ინტერესების დაცვა სანქტ-პეტერბურგში საგზაო მშენებლობის პროექტების რეალიზების დროს. აქტივისტის გზამკვლევი“. სანქტ-პეტერბურგი, 2008 წ.
2. საქართველოს კონსტიტუცია, 24.08.1995წ.
3. საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, 23.06.1999წ.
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25.06.1999წ.
5. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 16.04.1999წ.
6. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 10.12.1996წ.
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26.06.1997წ.
8. საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ“, 11.11.1994წ.
9. საქართველოს მთავრობის დადგენილება N 57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, 24.03.2009 წ.
10. დებულება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“, დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის N8 ბრძანებით, 09.03.2009წ.
11. საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, 14.12.2007წ.
12. საქართველოს კანონი “ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“, 10.11.2000წ.
13. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, 10.12.1997წ.
14. „გარემოს ხარისხობრივი მგომარეობის ნორმები“, დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N 297/ნ ბრძანებით, 16.08.2001წ.
15. საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, 07.03.1996წ.

16. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის ინსპექციის შესახებ“, 04.05.2010წ.
17. საქართველოს კანონი “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“, 08.04.2010წ.
18. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულება, დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით N1-1/75, 17.08.2004წ.
19. საქართველოს კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“, 14.12.2007წ.
20. საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, 08.05.2007წ.
21. საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, 27.06.2007წ.
22. საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, 21.10.2008წ.
23. სამშენებლო ნორმები და წესები (სნ და წ 2.05.02-85 „საავტომობილო გზები“), საქართველოს ტერიტორიაზე გაგრძელებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით N45 „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ“ (24.02.2006 წ.).
24. „საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქცია“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. თბილისი, 2006 წ.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ენერგეტიკა - მოპოვებითი მრეწველობა - კლიმატის ცვლილება; ტრანსპორტის სექტორის მდგრადი განვითარება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და სატყეო სექტორი, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა; ნარჩენებისა და წყლის მართვა. ამ თემატური მიმართულებების გარდა, მწვანე ალტერნატივას პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობა; ინფორმაციაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესებსა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტიტუტების გაუმჯობესება; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის და საქართველოსთვის განეული საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირვებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრია. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. დაარსების დღიდან ასოციაცია არის „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის“ წევრი; ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს დედამიწის მეგობრების საერთაშორისო ფედერაციასთან, „კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან“, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვითი, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან; მწვანე ალტერნატივა არის კოალიციის „გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის“ წევრი, რომელიც დაარსდა 2008 წელს. 2010 წელს მწვანე ალტერნატივა ინიციატივით დააფუძნდა „საქართველოს მწვანე ქსელი“ - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია დაიცვას გარემო, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განხორციელებული წარმატებული საქმიანობისათვის.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

მისამართი: ფალიაშვილის 27/29 II სართული, თბილისი, საქართველო
საფოსტო მისამართი: ქავჭავაძის გამზ. 62, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 29 2773
ფაქსი: + 995 32 22 38 74
www.greenalt.org